ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სააკაშვილს კიევში რესტორანს უნგრევენ



გვ. 5

პარასკევი, 7 ოქტომბერი, 2011 №238 (5618) ფასი: 30 თეთრი

# რას ჩამოუტანს სარკოზი საქართველოს



დღეს თბილისს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ეწვევა. ხელისუფლება მის დასახვედრად საგანგებოდ ემზადება. ეს გასაკვირი არ არის, რადგანაც სარკოზი ის კაცია, რომელიც აგვისტოს ომში საქართველოს გვერდში დაუდგა. რუსული ჯარების შეჩერება სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული.

## თედეევის მამას მანქანა დაუნაღმეს

კოკოითი ოპონენტს ტერორიზმში სდებს ბრალს

გვ.3





გვ. 2

## დავით ბერძენიშვილი: „ქდმ და მემარჯვენეები მძიმე დღეში არიან“

## ბიძინა ივანიშვილის განცხადება

გვ.4



## პედაგოგებს პოლიტიკური ნიშნით დევნიან

გვ.7

## ალეკო შალამბერიძე: „კარგია, ივანიშვილი პოლიტიკაში რომ მოდის“



გვ.7

## კასპაროვი პუტინის რეჟიმის დასასრულს პროგნოზირებს

გვ.6



გვ.3

## საქართველოში მორიგი ანტიეკლესიური კამპანია იწყება

ვინ ვინ არის

გვ.6



## ჯარიმები ბიუჯეტს 100 მილიონ ლარს შემატებს

რამდენი მილიონით მეტს მიიღებენ ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და მათი სხვა კოლეგები?



გვ.6

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 ბადათურია: დიმიტრი შაშკინს პარლამენტში იწვევს

7 რესპუბლიკელები თბილისის წყლის წინააღმდეგ

5 გიორგი გაჩეჩილაძე: „დასავლეთი სააკაშვილის ალტერნატივას ვერ ხედავს“

7 გიორგი გუგავა: “სააკაშვილი საერთაშორისო დონის პროვოკატორია“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით ბერძენიშვილი: „ქდმ და მემარჯვენეები მძიმე დღეში არიან“

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი „ექვსიანის“ დაშლის ინიციატორად ირაკლი ალასანიას ასახელებს. რატომ განიხიბლნენ ერთმანეთისგან ალასანია და ფორუმი? რატომ დაიშალა ალტერნატივის პრეტენზიის მქონე “ექვსიანი“? ამ საკითხებზე დავით ბერძენიშვილი გვესაუბრება:**


დავით ბერძენიშვილი

***– ბატონო დავით, როდესაც აანონსებდით მილიონ ამომრჩეველს, საარჩევნო ბლოკის შექმნის პრესპექტივებს. ფიქრობდით, რომ ასე ბანალურად დამთავრდებოდა ეს ყველაფერი? რა მოხდა?***

– ექვსი პარტიის მიერ გაკეთებული განცხადების ერთგული ჩვენ და კიდევ სამი პარტია დავრჩით, მაგრამ ალასანიას პარტიამ და გარკვეულწილად ფორუმმაც დისტანცირება დაიწყეს აგვისტოს ბოლოდან ჩვენი შეთანხმებებისგან. ხელისუფლებამ იცოდა, რომ რვიანი ძალიან სახიფათო იყო მისთვის, ამიტომ ძალიან იზრუნა, რომ ვისაც მოახერხებდა გაეყვანა. დღეს, ძალიან მძიმე დღეში არიან ქრისტიან-დემოკრატები და ახალი მემარჯვენეები. განსაკუთრებით ახლები. რადგან ქრისტიან-დემოკრატებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ტაქტიკა ქონდათ. ახლები რატომ არიან მძიმე დღეში? ხელი მოუწერეს ხელისუფლებას დოკუმენტზე და ხელისუფლებამ შემიტანა საარჩევნო დოკუმენტის ახალი ვარიანტი, რომელიც იმაზე უარესია, ვიდრე დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსია. თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში ვიდეოთვალი ამოიღეს, რაც ნიშნავს, რომ გაყალბების დამცავი მნიშვნელოვანი მექანიზმი არ იქნება. იმის ნაცვლად, რომ ვიდეოთვალი სერიოზულ მაკონტროლებელ ინსტრუმენტად გვექცია. პოლიტიკურად დასჯადია ხელისუფლებასთან ისეთი შეთანხმება, რომლის კონტროლის მექანიზმები არ გაქვს. არავისთვის იარლიყი არ ჩამოგვიკიდია. ახლებთან დიდი ხნის ურთიერთობა გვაქვს და კრიტიკას ვერიდებოდით. თუმცა შეცდომა იყო.

***– საუბრის თემას რომ დავუბრუნდეთ.***

– დარჩენილმა ექვსმა პარტიამ ვთქვით: რვიანი თუ იყო საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის შექმნილი ჯგუფი, ჩვენ, “ექვსიანი“ საარჩევნო გარემოსთვის ხალხთან ერთად ვიბრძოლებთ. მაშინ გაჩნდა ტერმინი – მილიონი ამომრჩეველი. ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ უნდა გვეჩვენებინა, რომ ჩვენ მილიონი ადამიანის მხარდამჭერით ვსარგებლობთ და ხალხის ზეწოლით ვაპირებდით საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის გაუმჯობესებას. ხელისუფლების იძულებას. “ექვსიანის“ განცხადებაში გაჩნდა საარსებო გარემო, რომლის შესაცვლელად უნდა გვეზრუნა. ამ იდეით უნდა გავსულიყავით ამ შემოდგომით ხალხთან. საარსებო გარემოზე როდესაც ვსაუბრობდით, ერთ-ერთი შემადგენელი იყო საარსებო მინიმუმით თითოეული ოჯახის უზრუნველყოფა. ასევე ვთქვით, რომ “ექვსიანი“ პრეტენზიას აცხადებს ხელისუფლების შეცვლაზე და ნეობოლშევიზმის დამთავრებაზე, რომ ამ და სხვა დაპირებით ალტერნატივას ვქმნით.

***– და რა მოხდა?***

– “ექვსიანის“ განცხადება დავით უსუფაშვილმა წაიკითხა, ის “რვიანშიცა“ და “ექვსიანშიც“ შემთანხმებელი ფიგურა იყო. ასევე ტექსტების დიდი უმრავლესობა მისი დაწერილი იყო. ამას ყველა დაგიდასტურებთ. ბოლოს წინა გამომსვლელი გუბაზ სანიკიძე იყო, რომელმაც წარადგინა ირაკლი ალასანია. ირაკლი ალასანია ჩვენი შეთანხმებით წარდგენილი იყო, როგორც პოტენციური ლიდერი ამ გაერთიანების.

***– თუმცა, ეს ღიად არ თქმულა...***

– დიახ, არ თქმულა, მაგრამ ვიზუალურად ეს ჩანდა. შიგნით ამაზე იყო საუბარი. ბელადობა არ შემიძლიაო, თქვა, ვინ აბრალებს ბელადობას. ან რეპუბლიკური პარტია, რომელი ბელადის ამტანია, რომ ირაკლისთვის შეგვეთავაზებინა. არავინ არ სთავაზობდა ბელადობას. მეტიც, ჩვენ ვიყავით შეთანხმებული, რომ რაკი, ირაკლი ალასანია არ იყო საკმარისი კოალიციის წარმოსაჩენად, როგორც ერთი მთავარი ფიგურა ჩვენ, ირაკლი ალასანია, თინა ხიდაშელი, გუბაზ სანიკიძე, ზვიად ძიძიგური ეს ოთხეული წინასწარ შევათანხმეთ, რომ წინა ხაზზე ისინი გამოსულიყვნენ, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ.

***– ხალხთან ისინი უნდა წარმდგარიყვნენ?***

– დიახ. სხვებიც ვიქნებოდით, მაგრამ ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

***– ესეც კი იყო შეთანხმებული?***

– ესეც კი იყო შეთანხმებული. ამასთანავე, დავით ზურაბიშვილს პლატფორმის მონახაზიც დაწერილი ჰქონდა. ჩვენ ჩვენს ინტელექტს ვდებდით და იმ ძალიან მწირ ფინანსურ რესურსებს, რომელიც გვაქვს. ზოგს მეტი აქვს ფინანსური რესურსი, რომელიც ეტყობათ ოფისებზე, იმაზე, თუ სად აქვთ და ა.შ. ყველა თავის რესურსს დებდა ამ ერთიანობაში, მაგრამ აგვისტოს მეორე ნახევრიდან ბზარი გაჩნდა.

***– რამ გამოიწვია ბზარი? მართალია, რომ სამეგრელოს სოფლებში ალასანიას ხალხთან შეხვედრები გახდა მიზეზი?***

– ალასანიამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც უკვე კოალიცია ჩამოყალიბებული იყო. მან დაგეგმა შეხვედრები სოფლებში აგვისტოში. მან შემოგვთავაზა, თუკი ვინმეს სურვილი გაქვთ, წამომყევითო, მაგრამ ექვსიანი და კოალიცია ნიშნავს იმას, რომ ერთიანად იგეგმება მსგავსი გასვლები. აგვისტო არ არის მასობრივად აქტიურობის დრო. ეს იყო მცირერიცხოვანი 15-20-კაციანი შეხვედრები თითოეულ სოფელში. იმას კი არ ვამბობ, რომ ამ შეხვედრებს აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ეს არ იყო მილიონი მხარდამჭერის მობილიზების, მოპოვების ადეკვატური. თუმცა გარკვეულწილად, ალასანიამ ცალკე, რომ ატარა ეს შეხვედრები, ეს არ იყო მიუღებელი. სხვის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ფორუმმა მეორე ინდივიდუალური მიმართულება გააჩინა. დააანონსა “ქართველთა მარში“, ეს მოჰყვა ალასანიას სამეგრელოში ცალკე სიარულს. ფორუმს ეს საკითხი არც განუხილია კოალიციაში. 27 სექტემბრის “ქართველთა მარში“ ფორუმის ლიდერთავე განცხადებით, ფორუმის აქტივის დათვალიერებად იქცა. ეს არ იყო იმ მასშტაბის ღონისძიება, როგორც თავიდან იყო დაანონსებული. 2 ათასს ამბობენ, სულ ერთია 2500 იქნება თუ 1500, ეს იყო აქტივის დათვალიერება. მხოლოდ ფორუმის არა კრების და სხვების მხარდამჭერებიც იყვნენ. ამანაც ხელი შეუწყო დეზინტეგრაციას. ერთიანი კოალიცია სრულ ინტეგრაციას ნიშნავდა. ეს დავწერეთ ჩვენს განცხადებაში. იმ გეგმის მიხედვით, რომელიც ხალხს დავპირდით ახლა მთელ საქართველოს უნდა ვიყოთ მოდებული, როგორც ვიყავით 2007 წელს ამ დროს, მაგრამ 15-20 კაცთან შეხვედრა და მთელ საქართველოზე მოდება სხვადასხვა რამეა.

***– რატომ არ გააკეთეთ? კოალიცია, ალტერნატივა ამის საპირწონედ ვერ გამოდგება?***

– არ ვიცი მიტივები, მაგრამ ნათელია, რომ ალასანიაც და ფორუმიც განიხიბლნენ კოალიციით აგვისტოს მეორე ნახევრიდან. რატომ განიხიბლნენ, ერთმანეთის მიმართ, რაღაც პრეტენზიები გაუჩნდათ თუ კოალიციის ვარგისიანობა დააყენეს ეჭქვეშ ეს მათ არ უთქვამთ. ორი მხრიდან დაიწყო დეზინტეგრაციის პროცესი. ამასთანავე, როგორც ირაკლი ალასანია, ისე ფორუმის ლიდერები ბოლო დღეებამდე ამბობდნენ, რომ კოალიცია არსებობს. ერთი კვირის წინ ალასანია ძალიან მყარად ამბობდა, რომ შეთანხმებულები ვართ და ერთიანად ვმუშაობთ, რომ კოალიცია არსებობს. რეალურად კოალიციას არ უწყობდა ხელს.

***– ირაკლი ალასანია?***

– დიახ. პირიქით, დისტანცირება ხდებოდა უფრო ნამდვილი კოალიციის ჩამოყალიბებისაგან, ვალდებულებებისაგან, მაგრამ ამბობდა, რომ კოალიცია არსებობს. ის ამ ტაქტიკური ხაზით მიდიოდა.

***– რატომ, ეს რაში აწყობდა?***

– ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მას უნდოდა, რომ ეჩვენებინა, ის არის არაფორმალური ლიდერი დიდი ოპოზიციური გაერთიანების, მაგრამ რეალურად ოპოზიციურ გაერთიანებაზე არ ზრუნავდა. ასეთი პოლიტიკური ტაქტიკა არ არის არც პერსპექტიული (გამსვლელი არ არის) და არც სწორი არ არის. კორექტულობის მხრივაც უზადო არ არის. ჩვენ ვუთხარით ან არის კოალიცია, ან არა და თუ არ გინდა, პატიოსნად უთხარი ქართველ ხალხს. მას ბოლო წუთამდე არ უნდოდა ამის დაფიქსირება. გასაგებია, გაურბოდა კოალიციის დამშლელის იარლიყს. ერთდროულად უნდოდა, რომ დამოუკიდებლად და კოალიციის სახელით ემოქმედა. ქვეყნის გარეთ უნდოდა, რომ კოალიციის არაფორმალურ ლიდერად წარმოჩენილიყო, ასევე მას ჰყავს ფრაქცია და კოალიცია. ამასობაში ფრაქციაც ფსევდოა იმ თვალსაზრისით, რომ ჭრელი შემადგენლობაა, ასევე კოალიცია თუ არ ვიტყოდით. ჩვენ ვუთხარით, რომ ეს მუშაობა არ არის. მთლად კორექტული არ იყო, როდესაც თქვა: პარტნიორები ყოყმანობდნენო და მე მათ ვერ დაველოდებიო. თუ რამეს ალასანიას საყვედურობენ, ყოყმანს, არასაკმარის აქტიურობას. ირაკლი ალასანია ქუჩაშია დღე და ღამე ხალხთან ერთად და თინა ხიდაშელი ოფისში ზის, ეს სწორი არ არის. ან ხიდაშელი ნაკლებს მუშაობს, საკრებულოში ვიდრე ალასანიას პარტიის ორი საკრებულოს თანამდებობის წევრი, არც ეს არის სწორი. უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილ ჩემს პარტნორს, კონკურენტს შეფასებებში არ ვეთანხმები. ეს მისი უფლებაა, მაგრამ ფაქტების დამახინჯების მომთმენი არ ვარ. არ ვისურვებდი, რომ გამომყვნენ ამ თემის განხილვებში.

***– ბატონო დავით, როგორც თქვენ ამბობთ, ირაკლი ალასანიას აწყობდა, რომ დასავლეთისთვის ეჩვენებინა, ის არის ოპოზიციის ფორმალური ლიდერი, ასევე ქართველი ხალხისთვისაც ეჩვენებინა, რომ ის არის ლიდერი, ვის წინაშე არ აწყობდა, რომ რეალური ლიდერი გამხდარიყო?***

– არც ერთ და არც მეორე ჩვენს პარტნიორ, კონკურენტს არ ვაბრალებ, რომ ხელისუფლების შეკვეთას ასრულებენ. ეს არც ახლებისთვის არ დამიბრალებია. არც მათზე ვფიქრობ, რომ ხელისუფლების შეკვეთა შეასრულეს, ვფიქრობ, შეცდომა მოუვიდათ. ალასანიას ამ ქმედებებზეც ვფიქრობ ისეთივე და იმაზე უფრო მასშტაბური შეცდომა მოუვიდა კოალიციის დაშლით, როგორც ალიანსის დაშლით. ალასანიას ფენომენი ქართულ პოლიტიკაში საიდან გაჩდა? რომ არ ყოფილიყო ის გაეროში ელჩი და არ დაეცვა ქვეყნის ინტერესები, არ ეპაერქა ჩურკინისთვის, ეს ორი ფიგურა, რომ შეადარა ქართველმა ხალხმა იმედი გაუჩნდა, როგორც გარკვეულ ნაწილს ჩვენი საზოგადოების ბიძინა ივანიშვილის იმედი გაუჩნდა. ალასანიას ამ გარემოებებმა გაუჩინა მაღალი სასტარტო პირობები ოპოზიციის ლიდერობისთვის. პოლიტიკურად დღემდე არ მესმის რა მოტივებით დაშალა მან ალიანსი. ირაკლი ალასანიამ ისევ ის გზა გაიმეორა, თითქოს გუშინ შემოვიდა პოლიტიკაში.

***– შანსი არსებობს ოთხიანის?***

– ინდივიდუალურ რეჟიმში ვართ. თუ კოალიცია არ არის, მაშინ შენი პარტიული პლატფორმით უნდა გახვიდე. ჩვენ რესპუბლიკურლიბერალური პლატფორმით გავალთ ამ არჩევნებზე. არჩევნების წინ როგორი იქნება პოლიტიკური კონფიგურაცია, ვნახავთ. ახლა შემოდის ამ ველზე ივანიშვილი.

***– რას იტყვით მასზე?***

– ჯერ ვერაფერს ვიტყვი. რადენიმე საკითხი არის მნიშვნელოვანი, რა პოლიტიკური ხედვები იქნება, მისი პერსონალური როლი რა არის პარტიაში. ლიდერია თუ კონსულტანტია. ფინანსური რესურსის მცირე ნაწილის გაღებას აპირებს თუ დიდი ნაწილის.

# რას ჩამოუტანს სარკოზი საქართველოს

შორენა გონგლაძე

დღეს თბილისს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ეწვევა. ხელისუფლება მის დასახვედრად საგანგებოდ ემზადება. ეს გასაკვირი არ არის, რადგანაც სარკოზი ის კაცია, რომელიც აგვისტოს ომში საქართველოს გვერდში დაუდგა. რუსული ჯარების შეჩერება სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული.


ნიკოლა სარკოზი

ამდენად, გასაკვირი არაა, რომ მის დასახვედრად ერი საგულდაგულოდ ემზადება. საფრანგეთის პრეზიდენტს დღეს ქართველები თავისუფლების მოედანზე დახვდებიან.

როგორც ამბობენ, საბიუჯეტო ორგანიზაციებში სრული მზადყოფნაა გამოცხადებული. ხელისუფლება აპირებს სარკოზის ასეულობით ათასი ადამიანი დაახვედროს. ოპოზიცია ეჭვობს, რომ ამით ცდილობენ, ევროპას დაანახონ, რამდენი ხალხი უჭერს სააკაშვილს მხარს. დღეს მოსახლეობას სარკოზის გარდა სააკაშვილიც მიმართავს. და საეჭვოა, იქ „მიშა მიშა“ არ იყვირონ.

შეიძლება ითქვას, რომ ერი მის მოლოდინშია. ამასთან, არავინ არ იცის, რას გვეტყვის სარკოზი ქართველებს. საფრანგეთის პირველი პირი საქართველოში სომხეთიდან ჩამოვა, სადაც ის გუშინ ჩავიდა.

თავისუფლების მოედანზე საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის სიტყვით გამოსვლის დროს მოძრაობა გადაიკეტება.

შს სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული ღონისძიების მსვლელობისას აიკრძალება ავტომანქანებით მოძრაობა თავისუფლების მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. კერძოდ, აიკრძალება მოძრაობა რუსთაველის გამზირზე და მასთან დამაკავშირებელ გზებზე. ბარათაშვილის ხიდიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით პუშკინის ქუჩაზე, ლესელიძის, დადიანის, ტაბიძის, ლეონიძის და ლერმონტოვის ქუჩებზე.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ვიზიტი საქართველოში სულ რამდენიმე საათს გასტანს. ის საქართველოს მოსახლეობას სიტყვით მიმართავს თავისუფლების მოედანზე 17 საათსა და 30 წუთზე. მოქალაქეებს აღნიშნულ ღონისძიებაზე მისვლა და დასწრება შეეძლებათ ორი საათით ადრე, რომლებიც მოედანზე დაიშვებიან სპეციალური შემოწმების გავლის შემდეგ. მოედანზე მისულ პირებს ეკრძალებათ, თან იქონიონ ფოტო და ვიდეოკამერები, ადვილად აალებადი ნივთები, ბოთლები, ბასრი და მსხვრევადი საგნები.

# ცხინვალმა თვენახევრის წინ დაკავებული ბზარაშვილები გაათავისუფლა

ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ თვენახევრის წინ დაკავებული ბზარაშვილები გაათავისუფლა, - ამის შესახებ “ინტერპრესნიუსს” დაკავებული ძმების დედამ, მაია ბზარაშვილმა აცნობა.

ამ დროისთვის ძმები – შოთა და გიგა ბზარაშვილები და მათი ბიძა ელიზბარ ბზარაშვილი გორში, პოლიციის სამხარეო სამმართველოში იმყოფებიან. მაია ბზარაშვილის ინფორმაციით, სამივე მათგანი თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობს.

21 წლის შოთა ბზარაშვილი, 23 წლის გიგა ბზარაშვილი, ასევე, მათი ბიძა, 33 წლის ელიზბარ ბზარაშვილი ოსურმა მხარემ ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე 22 აგვისტოს დააკავა. ოსური მხარე მათ შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ავრცელებდა. დაკავებულები ცხინვალის იზოლატორში იმყოფებოდნენ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ალასანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაბაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მურაზ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თედეევის მამას მანქანა დაუნაღმეს

## კოკოითი ოპონენტს ტერორიზმში სდებს ბრალს

**ცხინვალში ისევ დაძაბული ვითარებაა. უკვე მეშვიდე დღეა, რაც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ძამბოლატ თედეევი საკუთარი სახლიდან გასვლას ვერ ახერხებს. ასეულობით ადამიანი ისევ ჰყარაულობს მის სახლს. რომ არა მათი თავგამოდება, ოპოზიციის ლიდერი ახლა უკვე დაპატიმრებული იქნებოდა.**

თეა მარხვაიძე

ცხინვალში ისევ დაძაბული ვითარებაა. უკვე მეშვიდე დღეა, რაც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ძამბოლატ თედეევი საკუთარი სახლიდან გასვლას ვერ ახერხებს. ასეულობით ადამიანი ისევ ჰყარაულობს მის სახლს. რომ არა მათი თავგამოდება, ოპოზიციის ლიდერი ახლა უკვე დაპატიმრებული იქნებოდა.



ექსპერტები შეიარაღებულ დაპირისპირებას არ გამორიცხავენ. ჯერ-ჯერობით საქმე აქამდე მისული არ არის. თუმცა აქ უკვე ასაფეთქებელი მოწყობილობების პოვნა დაიწყეს.

6 ოქტომბრის ღამის 2 საათზე ცხინვალში დანაღმული ავტომანქანა აღმოაჩინეს. ასეთი რამეები აქ დიდი იშვიათობა არა არის. და არც ამ ფაქტს მიაქცევდა ვინმე ყურადღებას ეს მანქანს თედეევის მამის, ილიას საკუთრება რომ არ ყოფილიყო.

დანაღმულ "ნივასთან" დაკავშირებით, ოსური პოზიცია და ოპოზიცია განსხვავებულ ცნობებს ავრცელებენ.

ოპოზიციური მედიის მტკიცებით, ილიას მანქანა ხელისუფლებამ დაუნაღმა. ხელისუფელბა კი ოპოზიციას ტერაქტის ორგანიზებაში ადანაშაულებს.

ქართველი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ კოკოითიმ შვილი=თედეევი ტერაქტის მზადებაში დაადანაშაულონ.

ოფიციალური ვერსიით, ღამის 2 საათზე შსს-ში სატელეფონო ზარი შევიდა, რომლითაც უცნობი იტყობინებოდა, რომ სტალინის ქუჩაზე გაჩრებულ თეთრ „ნივაში" დევს ნაღმი.

საბილიარდის შენობასთან ოპერატიულმა ჯგუფმა იპოვა ავტომობილი, ხოლო სალონის სათავსში აღმოაჩინა 200 გრამი პლასტიდი და სამი მობილური ტელეფონი, რომლებიც ასაფეთქებელ მოწყობილობასთან მიერთებული არ იყო.

იქვე იყო მაგნიტის მოწყობილებაც, სავარაუდოდ ბომბის ავტომობილის ძარის ქვემოთ დასამაგრებლად.

ოსი სამართალდამცავების მტკიცებით, ავტომობილის სალონში "ნივის" დაზღვევის მოწმობა და მრავალი სააგიტაციო დისკები აღმოჩნდა.

– არ კმაროდა მხოლოდ ძამბოლათ თედეევის მიერ ხელმოწერილი ტერაქტის ორგანიზების ალიარებითი ჩვენება, – აცხადებენ „ექსპერტთა კლუბში"

ადგილობრივ ოპოზიციას კი სხვა ვერსია აქვს. მათი მტკიცებით, ხელისუფლებამ დანაღმა მამა-თედეევის მანქანა. მსგავს პროვოკაციებს ისინი არც მომავალში გამორიცხავენ.

აღსანისნავია ისიც, რომ თედეევი-კოკოითის დაპირისპირებაში აქტიურად ფიგურირებს „ნივა". მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ძამბოლატ თედეევის სახლთან აფეთქდა ავტომანქანა „ნივა". ეს მანქანა, იმ დელეგაციის ერთ-ერთ წევრს ეკუთვნოდა, რომელიც თედეევთან ერთად ცხინვალში იყო ჩასული.

ოპოზიციამ ეს აფეთქება ხელისუფლებას დააბრალა. ისინი სამართალდამცავებს მანქანის წაყვანის საშუალებას არ აძლევდნენ. საქმე იმაშია, რომ თედეევმა მოსკოვში დარეკა და იქედან მოითხოვა ექსპერტების ჩამოყვანა. რომლებსაც აფეთქებული ავტომობილი უნდა შეესწავლათ.

კოკოითის დავალებით, ადგილობრივმა ომონმა აფეთქებული „ნივა" მოიტაცა. აქაურმა გენპროკურორის მოადგილემ კი თქვა, რომ აფეთქება ოპოზიციამ მოაწყო. და ამით ყურადღების მიპყრობა სურდათ.

ეს აფეთქება ცოტა საეჭვო ჩანდა ნამდვილად. რადგანაც ამ აფეთქებიდან 10 წუთის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას მოსკოვიდან ჟურნალისტები დაუკავშირდნენ და კომენტარი სთხოვეს. ცნობისათვის, აფეთქება დილის 4 საათზე მოხდა.

საკ,აოდ საინტერესო ვითარება შეიქმნა 6 ოქტომბრის ღამით ნაპოვნ „ნივასთან" დაკავშირებითაც. საღამოს საიტმა „უასამონგამ" ილია თედეევის აწ უკვე საქვეყნოდ ცნობილ მანქანაზე ახალი ცნობა გაავრცელა.

„უასამონგა" უარყოფს ცხინვალის შსს-სა და პროკურატურის განცხადებას ძამბოლატ თედეევის მამის ილია თედეევის კუთვნილ ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენის შესახებ.

საიტის რედაქციამ (რომლის უკანაც თედეევი დგას) გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ დაუკავშირდა ცხინვალს და გაარკვია, რომ: „ავტომობილი „ნივა", რომელის მესაკუთრეც ნამდვილად ილია თედეევია, უკვე ხუთი დღეა რაც მიტოვებულია ცხინვალის ერთერთ ქუჩაზე".

– ამ ავტომანქანით ძამბოლატ თედეევის ოჯახის ერთერთი მეგობარი ბრუნდებოდა. რაღაც მომენტში მან აღმოაჩინა, რომ მას დაედევნა „ნივა შევროლე" მწვანე ნომრებით. მძღოლმა ნომრები ამოიცნო. ავტომანქანა ეკუთვნოდა ადგილობრივი „ომონის" უფროსს მერაბ ფუხაევს. საჭეს მართავდა „ომონის" მე–3 ქვედანაყოფის მეთაური ალიმ კოჩიევი. ერთერთ მრავალსართულიან სახლთან „ნივის" მძღოლმა შეძლო მიმალვა.

შეიგრძნო რა რომ მას დააპატიმრებდნენ, იგი იძულებული შეიქმნა ავტომანქანა დაეტოვებინა და მიმალულიყო. ავტომობილის კარებები კი გაღებული დარჩა, – იუწყება საიტი „უასამონგა".

ოპოზიციური საიტის ცნობით, ამ დღეების განმავლობაში ძალოვანები ელოდებოდნენ ავტომობილის წასაყვანად ვინმეს გამოჩენას.

– მაგრამ როდესაც არავინ არ ისურვა თავისი თავისუფლების რისკის ქვეშ დაყენება და მანქანა უყურადღებოდ დარჩა, კოკოევის ბანდამ გადაწყვიტა ამის თავის სასარგებლოდ გამოყენება და ილია თედეევის პატიოსანი სახელის შელახვა, რითაც მორიგი საზიზღარი პროვოკაცია გაითამაშა, რომლის შესახებაც მთელს დუნიას დაუყონებლივ ამცნო, – წერს „უასამონგა".

# საქართველოში მორიგი ანტიეკლესიური კამპანია იწყება

## პატრიარქი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

**ოპოზიცია დიდი ხანია ამტკიცებს, რომ ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ შეტქმულებას ამზადებს. ამასთამ დაკავშირებით საპატრიარქო ცდილობდა კომენტარი არ გაეკეთებინა. ამჯერად სხვანაირად მოხდა. განცხადება საქართველოს პატრიარქმა გააკეთა.**



თეა მარხვაიძე

პატრიარქის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაშია აღნიშნული, ანტიეკლესიური კამპანია ეკლესიის, კათოლიკოს-პატრიარქის, წმიდა სინოდისა და სამშობლოს გულშემატკივრობის ნიღბით წარიმართება, რეალურად კი, მისი მიზანია ეკლესიის დისკრედიტაცია, მღვდელმთავართა ურთიერთდაპირისპირება და ამით ცილისმწამებლური კამპანიის ორგანიზატორთა ქვენა მიზნების მიღწევა.

– 2011 წლის 11 ივლისს სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო დადგენილება, რომლითაც პასუხი გაეცა ყველა იმ სავარაუდო შეკითხვასა და გამოწვევას, რომლებიც გაჩნდა ეკლესიის წინაშე რელიგიური ორგანიზაციების სტატუსთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სინოდის განჩინება იმავე დღეს წარედგინა საზოგადოებას. ამასთანავე, მაშინვე მკაფიოდ ითქვა, რომ სინოდის სხდომამ დადგენილება მიიღო ერთხმად და მღვდელმთავრებს შორის ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სახის მედიასაშუალებაში არაერთხელ გამოქვეყნდა არარეალური, ფაქტების გამყალბებელი და აშკარად ცილისმწამებლური მასალები, რომელთა მიხედვით თითქოს მღვდელმთავართა ნაწილი დაუპირისპირდა კათოლიკოს-პატრიარქს და თავისი პოზიციით უღალატა პატრიარქსა და სამშობლოს. ამ ცილისწამებათა პასუხად 2011 წლის 24 ივლისს საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც მკაფიოდ მიუთითა, რომ სინოდის სხდომასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მსგავსი მასალები არ ასახავდა რეალობას. მიუხედავად ამისა, ცილისმწამებლური მასალების გამოქვეყნება კვლავ გაგრძელდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს დაგეგმილ ანტიეკლესიურ კამპანიასთან, რომელიც წარიმართება ეკლესიის, კათოლიკოს-პატრიარქის, წმიდა სინოდისა და სამშობლოს გულშემატკივრობის ნიღბით, რეალურად კი მისი მიზანია ეკლესიის დისკრედიტაცია, მღვდელმთავართა ურთიერთდაპირისპირება და ამით ცილისმწამებლური კამპანიის ორგანიზატორთა ქვენა მიზნების მიღწევა. ისმის კითხვა, ვის სჭირდება ეს, – ვკითხულობთ პატრიარქის განცხადებაში.

პატრიარქი 11 ივლისს გამართულ სხდომაზე არსებუ; აზრთა სხვადასხვაობას ადასტურებს. თუმცა მათ მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს.

– კიდევ ერთხელ მკაფიოდ ვაცხადებთ: სინოდის 11.07.2011 წლის სხდომაზე მღვდელმთავართა შორის აზრთა სხვაობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო პროცედურულ საკითხზე: მოესმინა თუ არა სინოდს საგანგებოდ მოწვეულ სამართალმცოდნეთათვის. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მოსმენის შესახებ წინადადებას; ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სინოდმა მოუსმინა სხდომაზე მოწვეულ ყველა სპეციალისტს. ამის შემდეგ საერო პირებმა (მოწვეულმა სპეციალისტებმა) დატოვეს დარბაზი და მღვდელმთავრებმა მსჯელობის შემდეგ ერთხმად მიიღეს ის განჩინება, რომელსაც იმავე დღეს გაეცნო საზოგადოება. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, სინოდის სხდომაზე არ ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა, არამედ იყო ერთსულოვნება; ხოლო მათ, ვინც პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს ეკლესიისა და მღვდელმთავრების წინააღმდეგ დაგეგმილ ცილისმწამებლურ კამპანიაში, შევახსენებთ, რომ ღმრთის მცნების – "არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა" – დარღვევა უმძიმესი ცოდვაა და მამაშვილურად შევაგონებთ მათ, დროულად შეინანონ და შეწყვიტონ ამ კამპანიაში მონაწილეობა, – ამბობს პატრიარქი.

პატრიარქი მრევლს სთხოვს, რომ ამ თემაზე საუბარი შეჭყვიტონ.

–შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სულიერ შვილებს გაძლევთ ლოცვა-კურთხევას: ყოველგვარი კამათი წმიდა სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ უნდა შეწყდეს და ყოველი ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია საეკლესიო ერთობა, უნდა გაემიჯნოს მღვდელმთავრებისა და ეკლესიის დისკრედიტაციისკენ მიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას. გამოვთქვამთ იმედს, რომ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი სრული პასუხისმგებლობით მოეკიდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევას და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი საქციელი სიკეთეს არ მოუტანს ჩვენს ქვეყანას, – ამბობს ეკლესიის წინამძღოლი.

# ავსტრალიაში საქართველოს საელჩო გაიხსნა

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში საქართველოს საელჩო გაიხსნა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ავსტრალიის თანამეგობრობას ეწვია. გრიგოლ ვაშაძე მელბურნრში თავის ავსტრალიელ კოლეგას კევინ რადს შეხვდა.



გრიგოლ ვაშაძე

მინისტრებმა ქვეყნებს შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობაზე იმსჯელეს. მხარეებმა ისაუბრეს, ასევე, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის გამყარებაზე.

როგორც გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, ავსტრალიელმა კოლეგებმა უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღიქვეს ავსტრალიაში საქართველოს საელჩოს გახსნა.

,,საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის. საქართველოს საელჩო მოგვცემს დამატებით ინსტრუმენტებს ამ რეგიონში მუშაობისათვის" ,– აღნიშნა ვაშაძემ.

მედიანიუსი

# სომხეთში მეწყერში მოყოლილ ადამიანებს ვერ პოულობენ

საქართველო–სომხეთის საზღვრაზე მეწყერში მოყოლილ ადამიანებს კვლავ უშედეგოდ ეძებენ.

სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ინფორმაციით, სამძებრო სამუშაოებში 130 მაშველი მონაწილეობს.

ვანაძორ-ბაგრატაშენის ტერიტორიაზე მაშველები შესაბამისი სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, მეწყერის ჩამოწოლის ადგილიდან ორი სატვირთო მანქანა ამოიყვანეს, რომელთაც სომხური სანომრე ნიშნები აქვთ. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, 16 მსუბუქი მანქანა უკვე ნაპოვნია, სულ მეწყერმა 35-დე ავტომობილი ჩაიტანა.

მაშველები კვლავ ვერ პოულობენ შემთხვევის ადგილზე მოყოლილ ხუთ ადამიანს, რომელთაგან ორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს სომხეთის საზღვრაზე მეწყერი 2 ოქტომბერს ჩამოწვა.

მედიანიუსი

# ბაღათურია დიმიტრი შაშკინს პარლამენტში იწვევს

10 ოქტომბრისათვის პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინს ელიან. იგი ახალი ფრაქციის – "ერთობა სამართლიანობისათვის" – ღია სხდომაზე არის მიწვეული, რომელიც ამავე ფრაქციის წევრის, ჯონდო ბაღათურიას ინიციატივით იმართება.



ჯონდი ბაღათურია

სხდომაზე საჯარო სკოლების ოპტიმიზაციის, მასწავლებელთა შრომითი უფლებების დაცვის საკითხები და სამინისტროს მიერ სასკოლო სახელმძღვანელოებზე დადგენილი ფასები განიხილება.

მედიანიუსი

# „საფრანგეთი საქართველოსთვის განსაკუთრებული ქვეყანაა"

სომეხი პოლიტოლოგის, ალექსანდრე ისკანდარიანის განცხადებით, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის განსახილველი საკითხები სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს ლიდერთან აქვს. ამის შესახებ პოლიტოლოგმა ერევანაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ამ თვალსაზრისით, საფრანგეთი საქართველოსთვის განსაკუთრებულ ქვეყნად იქცა, რადგან 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემის მოგვარებას სწორედ საფრანგეთის პირველი პირი, ნიკოლა სარკოზი ცდილობდა. შეგახსენებთ, რომ ნიკოლა სარკოზი საქათველოს დღეს ეწვევა.

მედიანიუსი

# ბიძინა ივანიშვილის განცხადება

მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომელთა მიხედვითაც ნათლად ვლინდება სააკაშვილის სურვილი, ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში, მიმაღებინა გადაწყვეტილება, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

სააკაშვილის მმართველობის დროს დაშვებული იყო (და დღემდე გრძელდება) ისეთი უამრავი პატარა, დიდი და მიუტევებელი შეცდომები, რომ მის ადგილზე ნებისმიერი საღად მოაზროვნე და გონიერი პოლიტიკოსი ვადაზე ადრე წავიდოდა პოლიტიკიდან და პატიებას სთხოვდა თავის ხალხს.

პოლიტიკოსი, რომელიც პატივს სცემს საკუთარ ქვეყანას, თავის ხალხს ან ელემენტარული თავმოყვარეობა მაინც გააჩნია, გააცნობიერებდა, რომ ლეგიტიმური გზით პოლიტიკაში დარჩენა შეუძლებელია და არ შეეცდებოდა კანონიერების ჩანაცვლებას: პირველი – ძალადობით და მეორე – სიცრუით.

I – საგადასახადოს, პროკურატურის და სასამართლოს გამოყენებით ქართულ ბიზნესზე ისეთი გაუგონარი ძალადობა განხორციელდა, რომ საქართველოში, პრაქტიკულად, თავისუფალი ბიზნესი აღარ არსებობს – მას სააკაშვილის ჯგუფი, შესაბამისი ფინანსური შემოსავლებით, მთლიანად აკონტროლებს; ნორმად გახდა დემონსტრაციების აგრესიული დარბევა, მონაწილეების დაუზოგავად, უმოწყალოდ ცემა და დევნა, ხოლო 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ არიან მოკლულები და დაკარგულები; საოცრად გამარტივდა ხალხის დაჭერა და ეგრეთ წოდებული საპროცესო გარიგებით – ფულის გადახდის შემდეგ გამოშვების პროცესი. დაჭერებისAამ მეთოდმა საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი უკიდურესად დააშინა და არნახული სიღარიბის ზღვართან მიიყვანა.

II – დამთრგუნველია ყველა იმ სიცრუის მოსმენა, რაც საინფორმაციო საშუალებებიდან მოედინება. ყოველდღიური ტრაბახი და ტყუილების კორიანტელი სააკაშვილის მიღწევების შესახებ უაღრესად შეურაცხმყოფელია. აღმაშფოთებელია, რომ სააკაშვილი საზოგადოებას ასეთი დონის ბრიყვად მიიჩნევს. ქვეყნის პრეზიდენტის მიერ შექმნილი სიცრუის მანქანა არათუ ჩვეულებრივ მოქალაქეს, პროფესიონალ ანალიტიკოსსაც კი უძნელებს თეთრის შავისაგან გარჩევას. სიცრუის ქსელში ჩართულმა ფსევდოოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომ საზოგადოების პოლიტიკურად ყველაზე აქტიურ ნაწილსაც კი პოლიტიკის მიმართ უნდობლობა გაუჩინეს და საბოლოოდ დააკარგინეს არჩევნების გზით რაიმეს შეცვლის იმედი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა საინფორმაციო საშუალებების ტოტალური კონტროლის გარეშე. ყველა ტელევიზიას, მათ შორის „მაესტროს“ და „კავკასიას“, სააკაშვილი აკონტროლებს. დასახელებული ტელეარხები სპეცდანიშნულების ფსევდოოპოზოციურ მედიასაშუალებებს წარმოადგენენ.

„მაესტრო“ და „კავკასია“ ძირითადად თბილისს მოიცავენ. მოგეხსენებათ, რომ დედაქალაქში ხალხი ყველაზე მეტად არის ინფორმირებული, ამ ორი ტელევიზიის გარეშეც თბილისელების დიდმა ნაწილმა კარგად იცის, თუ როგორია რეალობა; რასაკვირველია, გარდა იმ თბილისელებისა, ვინც პირდაპირ კავშირშია სააკაშვილის მთავრობასთან (მუშაობენ ან რაიმე სახის დაფინანსებას ღებულობენ), მას დედაქალაქში პრაქტიკულად მხარდამჭერი არ ჰყავს. შესაბამისად, ის კრიტიკა, რომელიც ამ ტელევიზიების საშუალებით ხორციელდება, სააკაშვილს ბევრს არაფერს აკლებს, სამაგიეროდ, რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს:

– არსებობს ტრიბუნა, სადაც ფსევდო თუ რეალურ ოპოზიციას სისტემატურად შეუძლია საკუთარი პოზიციის გამოხატვა და სააკაშვილის კრიტიკა. პოლიტიკოსებთან ერთად, გამწარებულ მოქალაქეებსაც ეძლევათ საშუალება, ტელეფონის მეშვეობით მიიღონ მონაწილეობა მთავრობის საქმიანობის შესახებ მომზადებულ კრიტიკულ გადაცემებში და თავისი გულისწყრომა გამოხატონ – მოკლედ რომ ვთქვათ, ორთქლი გამოუშვან: ეს მათ გარკვეულწილად აგრესიისგან ათავისუფლებს და ამცირებს სხვა ხერხების (ქუჩა და სხვა) გამოყენების აუცილებლობას.

– საქართველოს მოქალაქეებსა და უცხოელებს მუდმივად შეახსენებენ, რომ საქართველოში არსებობს ორი ოპოზიციური ტელევიზიაა, სადაც მუდმივად აკრიტიკებენ მთავრობას და ამით სურთ, საქართველო დემოკრატიისა და აზრის თავისუფლების სავანედ წარმოაჩინონ.

– ფსევდოოპოზიციური პოლიტიკოსისა თუ პარტიის "რასკრუტკა" (წარმოჩენა, ხელშეწყობა, გაპიარება).

– რეალური ოპოზიციის კრიტიკა სასურველ დროს სასურველი კუთხით (მაგალითად – ფსევდოოპოზიციონერისგან);

– სპეციალური ინფორმაციის „სწორად“ და დროულად მიწოდება.

– 26 მაისის მოვლენების დროს „მაესტროს“ საკმაოდ ბევრ ეპიზოდში აშკარად „აღარ ეცალა“ ოპოზიციონერობისთვის, ზოგჯერ კი ამის პრეტენზიაც კი არ ჰქონდა.

– 26 მაისის მსგავს და უფრო მწვავე სიტუაციებში, ეს ორი ტელევიზია ზუსტად ისე მოიქცევა, როგორც სააკაშვილისთვის იქნება მოსახერხებელი და ხელსაყრელი. ამიტომაც, ეს ორი ფსევდოოპოზიციური ტელევიზია, ჩემი აზრით, სააკაშვილისთვის უფრო მეტად ეფექტურია, ვიდრე სხვა დანარჩენი (ამ თემასთან დაკავშირებით იხილეთ ჩემი ცალკე განცხადება ტელევიზიის შექმნის შესახებ აქვე, ძირითადი განცხადების შემდეგ).

საბედნიეროდ, საქართველოში არსებობს რეალური ოპოზიციაც, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა და კიდევ სხვა არაერთი მიზეზის გამო, არ ძალუძთ, სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ სააკაშვილსა და მის ნაციონალურ პარტიას. შესაბამისად, დღევანდელი გადასახედიდან, სააკაშვილს თითქმის გარანტირებული აქვს აიხდინოს თავისი ოცნება – მუდმივად დარჩეს ხელისუფლებაში.

სააკაშვილს ვერ გაუცნობირებია მთავარი: ამ მეთოდებით – ძალადობითა და სიცრუით, რითაც ის ქვეყანას მართავს, რაც უფრო დიდხანს დარჩება სახელმწიფოს სათავეში, მით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს ქვეყანას და რასაკვირველია, მით უფრო მძიმე იქნება მისი პირადი ხვედრიც – ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი არსებობს, საამისოდ უახლესი პერიოდის გახსენებაც კი საკმარისია.

2008 წლის გაყალბებული არჩევნების შემდეგ მე მივიღე გადაწყვეტილება, დახმარება გამეწია ოპოზიციური ძალებისთვის და სწორი არჩევნის გასაკეთებლად სერიოზულ დაკვირვებას ვაწარმოებდი, თუ ვის და როდის დავხმარებოდი.

დავრწმუნდი, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე ძალიან გაჭირდებოდა საჭირო შედეგის მიღება, ამიტომაც გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, დაახლოებით 2-3 წელი, პირადად გავუწიო კოორდინაცია შემდეგ პოლიტიკურ პროცესებს:

– ჩემ მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური პარტიისა და არსებული ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით მოვახდინოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობით მოგება.

– გავარკვიოთ და ხალხთან ერთად შევიმუშაოთ ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელი, მოვახდინოთ ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომ მომავალში არათუ საშუალება, სურვილიც კი არ გაუჩნდეს ვინმეს, რომ კონსტიტუცია საკუთარ თავს მოარგოს.

– პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მივიღო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და პასუხისმგებლობა ვიკისრო მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რათა ბოლომდე აღმოიფხვრას ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც სააკაშვილის ახლანდელი მთავრობის მაღალი ეშელონებია ჩაფლული.

– დავიწყოთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა და იგი შეუქცევად პროცესამდე მივიყვანოთ.

– პერსპექტიული გავხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა.

– შევქმნათ რეალურად საინტერესო საინვესტიციო გარემო და ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზებული ბიზნესის ნაცვლად, საფუძველი ჩავუყაროთ ქვეყანაში ბიზნესის აღორძინებას.

– ბოლომდე მივიყვანო დაწყებული პირველი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის აღორძინებას ეხება (იხილეთ სქოლიო №1) და რეალობას დავუახლოო მეორე პროექტი – ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებისა და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ. (იხილეთ სქოლიო №2)

– დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება.

– გავაღრმაოთ აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია...

სრულ და დაზუსტებულ ჩამონათვალს, თუ რის გაკეთებას ვაპირებ, საზოგადოება მომავალი პარტიის პროგრამაში იხილავს.

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას დაახლოებით ორიდან სამ წლამდე დასჭირდება.Aამის შემდეგ მე ვაპირებ წავიდე პოლიტიკიდან, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის განვითარებაში.

თუ გავიხსენებთ ჩვენს უახლოეს ისტორიას, სამი პრეზიდენტიდან პირველი ორი ვადაზე ადრე ჩამოვაგდეთ, ხოლო მესამეს შეუძლია, ქვეყანა კატასტროფამდეც კი მიიყვანოს – მარტივი გასაგები და ასახსნელია, რომ პრობლემა პრეზიდენტებში კი არა, საზოგადოებაშია. უნდა ვაღიაროთ, რომ უძველესი კულტურის საზოგადოება დღეს პოლიტიკური კულტურის ნაკლებობას განიცდის (?!).

ჩვენ – საზოგადოებამ უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა ავირჩიოთ და უფრო მნიშვნელოვანი – როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფოს მეთაური და მისი მთავრობა. (გაიხსენეთ, სააკაშვილი არჩევნების პერიოდში ჰალსტუხს თხოულობდა თანაპარტიელებისგან, არჩევნების შემდეგ, პირველ ეტაპზე, საერთო რეისებით დაფრინავდა... დღეს კი აბსოლუტურად ყველაფრის უფლებას აძლევს საკუთარ თავს და არავითარ ანგარიშს აღარ უწევს ქართველ საზოგადოებას).

უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა (რის განვითარებასაც შემდგომში წლები და ათწლეულები დასჭირდება), რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს და იმის გაფიქრების სურვილიც კი არ გაუჩნდეს, რასაც სააკაშვილის დღევანდელი მთავრობა კადრულობს.

საწყისი მუხტის შესაქმნელად, აუცილებელ პირობად მიმაჩნია რეალურად ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი (ტელევიზია, რადიო, გაზეთები, ინტერნეტგამოცემები), რომლის შექმნასაც, პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად, მე ზემოთ ნახსენებ ორ-სამ წელიწადში მოვახერხებ. ინტელიგენციის იმ ნაწილთან ერთად, რომელიც საქართველოში საბედნიეროდ კიდევ გვყავს, ჩვენ მოვახერხებთ მართვის შესაბამისი წესების ჩამოყალიბებას, რომ საინფორმაციო ცენტრი იყოს მაქსიმალურად ობიექტური, გამოირიცხოს რაიმე სახის მიკერძოება.

საინფორმაციო ცენტრის მაღალ დონეზე ფუნქციონირებაში უდიდესი როლი ენიჭება ჟურნალისტების პროფესიონალიზმსა და პრინციპულობას.

კარგად ვაცნობიერებ, რომ დღეს ჟურნალისტების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს არჩევანი. ხშირად, ისინი იძულებული არიან, დაივიწყონ ქვეყნის ინტერესები, რათა არ დაკარგონ ერთადერთი შესაძლებლობა – მიიღონ ელემენტარული შემოსავალი ოჯახის სარჩენად.

დღეიდან, ყველა ჟურნალისტს, ვისაც თავისი ობიექტურობისა და პრინციპულობის გამო სამსახურიდან დაითხოვენ, ვთავაზობ ადგილს მომავალი პოლიტიკური პარტიის შტაბში არანაკლები ანაზღაურებით, რომელიც მათ ახლა გააჩნიათ. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ისინი პრივილიგირებული იქნებიან მომავალ საინფორმაციო ცენტრში თანამშრომლების შერჩევის დროსაც.

და ბოლოს – მინდა, შეძლებისდაგვარად განმარტება გავაკეთო ჩემი ახლანდელი გადაწყვეტილების თაობაზე. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მე უარვყოფდი პოლიტიკაში მოსვლის ალბათობას. მიმაჩნდა, რომ როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, თავისუფალს ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებებისგან, უფრო მეტი შემეძლო გამეკეთებინა, მაგრამ დღევანდელმა პოლიტიკურმა გარემომ ნათლად დამანახა ჩემი შეხედულებების შეცვლის აუცილებლობა. დიდი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ მივხვდი, რომ მე აღარ მქონდა არჩევანი. დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ოპოზიციის ფინანსური დახმარებით არ იქნებოდა შესაძლებელი პოლიტიკური პროცესების კორექტული მართვა და ქვეყნისთვის სასურველი შედეგის მიღება. გარწმუნებთ, რომ ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ეს გადაწყვეტილება მიმეღო.

ვაღიარებ, რომ ჩემი ოპონენტებისთვის ეს განმარტება საკმარისი არ იქნება და კარგად ვაცნობიერებ იმასაც, რომ დარჩენილი ცხოვრება დამჭირდება, რათა საზოგადოებას ჩემი გულწრფელობა დავუმტკიცო.

და კიდევ ერთი: ჩემი კაპიტალის დაახლოებით მესამედი, სხვადასხვა ბიზნესის სახით, მდებარეობს რუსეთში. იმისთვის, რომ პოლიტიკაში ჩემი ყოფნისას საზოგადოებას ზედმეტი კითხვები არ გაუჩნდეს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დაწყებამდე მე მოვახდენ რუსეთში არსებული ბიზნესის რეალიზაციას. ამავე მიზეზით უარს ვამბობ ორმაგ მოქალაქეობაზე და უახლოეს დღეებში ჩავაბარებ რუსეთის და საფრანგეთის ქვეყნების პასპორტებს.

***

**2004 წლიდან მოყოლებული რამდენჯერმე შევხვდი მიხეილ სააკაშვილს. ერთადერთი საკითხი, რომელიც სამჯერ წამოვწიე მასთან საუბარში, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი იყო. ჩემი აზრით, ეს პროექტი სწრაფ განხილვას მოითხოვდა და დასაწყისისთვის ერთი მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას საჭიროებდა. რამდენადაც ვიცოდი, რომ ქვეყნის ბიუჯეტს ამის შესაძლებლობა არ გააჩნდა, მიხეილ სააკაშვილს ამ პროექტის სრული დაფინანსება მე შევთავაზე. პასუხი მხოლოდ საკითხის მესამედ წამოწევის შემდეგ მივიღე. სააკაშვილს, როგორც მან თვითონ აღნიშნა, ბენდუქიძესთან გასაუბრების შემდეგ, მიაჩნდა, რომ ეს პროექტი რთული განსახორციელებელი იქნებოდა, რადგან კორუფციას გამოიწვევდა.**

**დავრწმუნდი რა, რომ სააკაშვილს ამ პროექტის განხორციელების არავითარი ინტერესი არ გააჩნდა, 2006 წლიდან საკუთარი ძალებით დავიწყე მოქმედება, თუმცა კარგად ვაცნობიერებდი, რომ სახელმწიფო სტრუქტურების გარეშე ამ მასშტაბის პროექტის სრულყოფილი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. კერძოდ:**

**ჩამოვაყალიბე არასამეწარმეო იურიდიული პირი (აიპ) „აგრო – ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი“, რომლისთვისაც 2007 წელს ეკონომიკის სამინისტროსგან შევიძინე 54 ჰა მიწის ფართობი მცხეთის რაიონის სოფელ ჯილაურაში. 2011 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით გაშენებულია:**

**ვაზი**

**1. ქართული ვაზის ჯიშების საკოლექციო ნაკვეთი – 3,5 ჰა (430 ჯიში);**

**2. ქართული სტანდარტული ვაზის ჯიშები – 7 ჰა (35 ჯიში);**

**3. ვაზის უცხოური ჯიშები – 5 ჰა (100-ზე მეტი ჯიში);**

**4. ვაზის საძირეები – 1,8 ჰა (8 ჯიში).**

**ხეხილი**

**1. ადგილობრივი და უცხოური სხვადასხვა ხეხილოვანი კულტურა – 9 ჰა (15 კულტურის 200 ჯიში);**

**2. ხეხილის საძირეები – 2,8 ჰა (11 ჯიში).**

**აიპ „აგროს“ მიერ წარმოებული სარგავი მასალები 2011 წლიდან უფასოდ გადაეცათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ათამდე ფერმერს ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის შესაქმნელად. სამომავლო მიზანია, რომ ნებისმიერ ფერმერს მივაწოდოთ მათთვის სასურველი ოდენობის სარგავი მასალა.**

**2008 წელს შეძენილ იქნა მცხეთის რაიონის სოფელ სელექციაში (წილკანი) 7 ჰა მიწის ნაკვეთი და 2009 წელს – ახალქალაქის რაიონში 93 ჰა მიწის ნაკვეთი.**

**ჩვენი მიზანია: საქართველოში პირველად, კარტოფილის ელიტური თესლის წარმოება. წილკნის ინ-ვიტრო ლაბორატორიაში და სათბურებში იწარმოება კარტოფილის მინიტუბერები. ახალქალაქის ნაკვეთებზე ხდება ტუბერების გამრავლება (სამწლიანი ციკლი) ელიტურ თესლამდე. თესლის გამრავლება დაწყებულია 2010 წლიდან, შესაბამისად, 2012 წლის შემოდგომიდან შევძლებთ ფერმერებს მივაწოდოთ კარტოფილის ელიტური თესლი უფასოდ.**

**ყველა ობიექტი უზრუნველყოფილია შესაბამისი თანამედროვე ინფრასტრუქტურით. მიმდინარეობს მუშაობა სასოფლო-სამეურნეო სხვა კულტურების საუკეთესო თესლების შემოსატანად და მოსახლეობისთვის დასარიგებლად.**

**ჩვენ უკვე 4-5 წელია ვმოქმედებთ და შეიძლება ითქვას, რომ ხანგრძლივ დროზე გათვლილ პროცესებში შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ. თუმცა არის ისეთი საკითხები, რომლის ორგანიზება სახელმწიფო სტრუქტურების ჩაურევლად რთულია. აუცილებელია, რომ ყველა გლეხი, რომლებსაც საფერმო მეურნეობის ჩამოყალიბების სურვილი გააჩნიათ, უზრუნველვყოთ გრძელვადიანი უპროცენტო სესხებით სამეურნეო ტექნიკისა და სხვა ძირითადი საშუალებების შესაძენად. დასაწყისისთვის (დაახლოებით 3 წლამდე) დავეხმაროთ სახორცე და სარძევე პირუტყვის შერჩევასა და შეძენაში, უფასო თესლის, ნერგის, საწვავისა და სასუქის მომარაგებაში.**

**ყველაფერი ეს საშუალებას მისცემს თოხზე გადამკვდარ ქართველ გლეხს, რომ სული მოითქვას – ოჯახსაც გააძლიერებს, ქართული ბაზარიც ჯანმრთელი ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტით შეივსება და საექსპორტო პოტენციალიც გაჩნდება.**

**II. პროექტი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებისა და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ.**

**თავად ეს პროექტი თავისი შინაარსით ორი ნაწილისგან შედგება. პროექტის პირველი ნაწილის იდეა, რაც უშუალოდ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებას ითვალისწინებს, პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორ გია ხუბუასთან განვიხილე. პირველ ეტაპზე ვფიქრობდი, რომ ეს ამ სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე უნდა ყოფილიყო ერთი ან რამდენიმე ფაკულტეტის სახით. გია ხუბუას ეს იდეა ძალიან მოეწონა და შევთანხმდით ფაკულტეტების დამატების ნაცვლად ახალი საუნივერსიტეტო ქალაქის აშენების თაობაზე. შეხვედრიდან რამდენიმე დღეში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი უნივერსიტეტისა და „ქართუ ჯგუფის“ თანამშრომლების ბაზაზე.**

**2008 წელს „ქართუ ჯგუფმა“ გააფორმა ხელშეკრულება დანიურ კომპანიასთან საუნივერსიტეტო ქალაქის ასაშენებლად საპროექტო დავალებისა და საკონკურსო პროგრამის შედგენაზე.**

**ამის შემდეგ ჩატარდა არქიტექტურული პროექტის ტენდერი მსოფლიოში ცნობილ არქიტექტურულ ჯგუფებს შორის, სადაც „ჰენინგ ლარსენ არქიტექტის“ ჯგუფმა გაიმარჯვა. რეალურია, რომ სამშენებლო სამუშაოები მომავალი ერთი წლის განმავლობაში დაიწყოს.**

**ამ ერთი წლის განმავლობაში და მშენებლობის პროცესში დაზუსტდება ფაკულტეტები და სპეციალობები. ასევე მოსაწვევი პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა.**

**ამ პროექტის მეორე ნაწილია მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა, რომლებშიც დასაქმდებიან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. იგი უშუალოდ მიბმულია პროექტის პირველ ნაწილთან. მე კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ამის განხორციელება საკმაოდ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, თუ ჩვენ შევქმნით იმ ძირითად პირობებს,**

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბიძინა ივანიშვილის განცხადება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

**რაც საშუალებას მოგვცემს დავაინტერესოთ მსხვილი უცხოური კომპანიები. კერძოდ:**

**1. ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეშვეობით შეიქმნება ადგილობრივი მაღალკვალიფიციური კადრების ბაზა საწარმოების დაარსებისა და ფუნქციონირებისთვის.**

**2. ადგილობრივი ინვესტორის არსებობა. მე მზად ვარ, მთელი ჩემი კაპიტალი ამ საქმეს მოვახმარო. ამავე დროს, არ გამოვრიცხავ საქართველოში არსებული სხვა ბიზნესმენებისა და საფინანსო ჯგუფების მონაწილეობას.**

**3. საქართველოში რეალურად შეიქმნება საიმედო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. მოგეხსენებათ, რომ სწორედ დღევანდელი მდგომარეობის გამო არც ერთი სერიოზული კომპანია არც კი განიხილავს საქართველოში ინვესტირების საკითხს.**

**უნივერსიტეტის დაარსება (რომლის განსახორციელებლადაც 3 წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი სამუშაოა ჩატარებული) და მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა პარალელური პროცესებია და უნდა მოხდეს ერთ მთლიან პროექტში ამ ორი ნაწილის სინქრონიზაცია. უნივერსიტეტის დაარსების გარეშე შეუძლებელი გახდება მაღალტექნოლოგიური საწარმოების კადრებით უზრუნველყოფა, და პირიქით, საწარმოების შექმნის გარეშე ასეთი უნივერსიტეტის არსებობა გამოიწვევს მაღალი ინტელექტის უმეშევრად დარჩენილი პროფესიონალების საქართველოდან იოლ გადინებას.**

**ჩამოთვლილი და კიდევ სხვა სირთულეების გამო გასაგებია, რომ ამ პროექტის განხორციელებაზე რამე გარანტიის მიცემა არ შეიძლება. მე მას უფრო ოცნების პროექტს დავარქმევდი, თუმცა ოცნების ახდენაც ხომ შესაძლებელია?!**

# ბიძინა ივანიშვილის განცხადება ტელევიზიის შეძენის შესახებ

შევიძენ ნებისმიერ ქართულ ტელევიზიას, რომელსაც საინფორმაციო გადაცემების ლიცენზია გააჩნია. იმისათვის, რომ მეპატრონეს (თუკი ასეთი არსებობს სააკაშვილის გარდა) გაყიდვის რეალური ინტერესი გაუჩნდეს, ვთავაზობ შემდეგს:

1. გადავიხდი საბაზრო ღირებულებაზე სამჯერ მეტ თანხას. ღირებულება უნდა შეაფასოს მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული ხუთი აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთმა.

2. შეძენიდან მაქსიმუმ ორი წლის შემდეგ, მის დღევანდელ მფლობელს ტელევიზიას დავუბრუნებ სიმბოლურ ფასად – 1 (ერთ) ლარად. იურიდიულად ეს ვალდებულებები გაფორმდება გაყიდვის კონტრაქტთან ერთად. იმავდროულად გაფორმდება ვალდებულება, რომ ტელევიზიის დღევანდელი ძირითადი საშუალებების ღირებულება, დაბრუნების მომენტში, მინიმუმ 15 პროცენტით იქნება გაზრდილი.

3. ტელევიზიის ახლანდელ მფლობელს უფლება ექნება (ეს გაყიდვის მომენტში გარანტიის სახით აისახება), შეინარჩუნოს საეთერო დროის 50 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ „მაესტროს“ და „კავკასიის“ დღევანდელ მფლობელებს შეეძლებათ, პრაქტიკულად მთლიანად შეინარჩუნონ დღევანდელი გადაცემები (ამ ტელეარხების საეთერო დრო ამჟამად 50 პროცენტითაც კი არ არის დატვირთული).

თუ ჩემს შეთავაზებას არ გამოეხმაურებიან, ამ ტელევიზიების დანიშნულება მართლდება.

# სააკაშვილს კიევში რესტორანს უნგრევენ

შალვა ჯოხაძე

მიხეილ სააკაშვილს ბიზნესინტერესები მხოლოდ საქართველოში არ ჰქონია, უკრაინაში რესტორნების ქსელი „რიონი“ მისი საკუთრება ყოფილა. ეს ბიზნესი ჩვენს მიშას მისი მეგობრისა და შემდგომ უკვე ნათესავის, ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობისას აუწყვია. თუმცა, გავიდა დრო და დღეს იუშჩენკოს უკრაინაში აღარავინ აღარაფერს ეკითხება. ალბათ ამიტომაა, რომ ცოტა ხანში კიევში, სანაპიროზე მშენებარე სააკაშვილის ერთ-ერთ რესტორანს ისე დაშლიან, მის კვალსაც აღარ დატოვებენ.

ამ ინფორმაციამ უკრაინულ მედიაში მას შემდეგ გაჟონა, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამოცემულ სპეციალურ მაცნეში დაიბეჭდა ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „კიევბლაგოუსტროისტვომ“ ტენდერში გაიმარჯვა და მშენებარე რესტორან „რიონის“ 2 მილიონ გრივნად დანგრევის ვალდებულება აიღო.

კიევის პროკურატურამ უკვე გასცა ბრძანება, რომ მშენებარე რესტორანი დაინგრეს და სანაპიროს ძველი იერსახე აღდგეს.



პროკურატურაში ეს განკარგულება ვიქტორ იანუკოვიჩთან შეუთანხმებლად მიიღეს, რომელიც მზად იყო, კიევ-პეჩორის ლავრაში მოლაპარაკებების გასამართად წასულიყო, რათა სააკაშვილის ქონება დაეცვა. რატომ მიდიოდა უკრაინის პრეზიდენტი ლავრაში?

საქმე ისაა, რომ ლავრის წარმომადგენლები, სასულიერო პირები წინააღმდეგი არიან, სააკაშვილის რესტორანი სწორედ ამ ადგილას აშენდეს. რესტორნის მშენებლობა წმინდა წყაროსთან ძალზე ახლოს მიმდინარეობს და ლავრის წარმომადგენელთა თქმით, წყაროს სათავის დაბინძურების და საერთოდაც, მისი დაკარგვის საფრთხე იქმნება.



მიხეილ სააკაშვილი და ვიქტორ იუშჩენკო

კიდევ ერთი ვერსია, თუ რატომ იწუხებს თავს უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი სააკაშვილისთვის, ისაა, რომ მიშას მასთანაც კარგი ურთიერთობა დაუმყარებია.

ამის შესახებ უკრაინული მედია იტყობინება. უკრაინელი ჟურნალისტების თქმით, სააკაშვილმა იანუკოვიჩთანაც მართლაც შესანიშნავი ურთიერთობა დაამყარა და მისი ბიზნესი კიევში ამიტომაც ყვავის (ამ მშენებარე რესტორნის ნგრევის ფაქტს თუ არ ჩავთვლით).

– იანუკოვიჩთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. მაშინაც კი, როდესაც ის ოპოზიციაში იყო, უკრაინაში ჩასვლისას ყოველთვის ვხვდებოდი. ქალაქგარეთ მდებარე მის სახლსაც ვსტუმრობდი, – ამბობს სააკაშვილი.

იმ რესტორნის მშენებლობა, რომლის ჩონჩხსაც ცოტა ხანში დაანგრევენ, 2007 წელს დაიწყო. მთლიანად, „რიონის“ ქსელი კი სააკაშვილმა 2005 წელს დააარსა. მის ამ წამოწყებას უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი, ვიქტორ იუშჩენკო ლობირებდა. სხვათა შორის, 2005 წელს აშენებული ერთი რესტორანი „რიონი“, უკვე დაანგრიეს. ეს რესტორანი უშუალოდ ლავრის სიახლოვეს მდებარეობდა და ამიტომაც, სასულიერო პირებმა მის დემონტაჟსაც მიაღწიეს.

რესტორან „რიონის“ კიევ-პეჩორის ლავრის წინ აგებას თავის დროზე სასულიერო პირების გარდა ბევრი სხვაც ეწინააღმდეგებოდა. ამ პროექტს სრული ნონსენსი უწოდეს, თუმცა იუშჩენკოს წყალობით, რესტორნის მშენებლობა უპრობლემოდ დასრულდა. სხვათა შორის, ამ რესტორნის აგებისას სააკაშვილმა იუშჩენკოს დაპირება მისცა, რომ რესტორნის შენობასთან ერთად, ახალ ეკლესიასაც ააგებდა. დაპირება დაპირებად დარჩა და სააკაშვილს ეკლესია არ აუშენებია.

სააკაშვილისა და იუშჩენკოს რესტორნებთან დაკავშირებული ისტორიები ამით არ ამოიწურება. სულ ცოტა ხნის წინ კიევთან ახლოს დაიწვა რესტორანი, რომელშიც იუშჩენკოს სააკაშვილთან ერთად ქეიფი ძალიან უყვარდა. ქალაქგარეთ მდებარე რესტორანი „ტრიპოლიე“ იუშჩენკოს ძალიან უყვარდა. სწორედ ამიტომაც, 2008 წელს საკუთარი დაბადების დღე სააკაშვილთან ერთად ამ რესტორანში აღნიშნა.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „დასავლეთი სააკაშვილის ალტერნატივას ვერ ხედავს“

გულიკო ბალაძე

მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ „ფაქტობრივად, ხელისუფლებამ შექმნა ისეთი სისტემა, რომელზეც თვითონ გახდა დამოკიდებული ყველა მაგნატის ანუ ყაჩაღის ფულზე (რომლებმაც სხვადასხვა გზებით ფული ხელში ჩაიგდეს და ძირითადი მონოპოლისტები არიან), ისინი ველარაფერს აკეთებენ. ამიტომ ფული როგორ შემოიტანონ ბიუჯეტში, არ იციან. ერთადერთი, მათ ვერ ავიწროვებენ, რადგან მაგათიანები არიან. ისინი აფინანსებენ ნაციონალების საარჩევნო კომპანიებს, ისინი კვებავენ, ისინი უხდიან კონცერტებისა და შოუების ფულებს. აქედან გამომდინარე, იძულებული არიან მოსახლეობა დაახრჩონ, ამიტომ არის, რომ ახლა ქალაქის მერია და ეკონომიკის სამინისტრო ცალ-ცალკე სხედან ფიქრობენ, რა მოიგონონ, რით ამოქაჩონ ფული, როგორ წაართვან, მოსახლეობას ის კაპიკები, რომელიც დარჩა. ამიტომ სხვადასხვა გადასახადებს იგონებენ. მაგალითად, სამარშრუტო ხაზების გადასახადების ზრდა, ნაგვის მიზმა ელექტროენერგიაზე და ა.შ. ამ ძიებაში უპრეცედენტო რამ მოიგონეს – კერძო საგადასახადო ინსპექცია. ვიღაც ახალგაზრდები მაღაზიებში დარბიან, გამომუშავებაზე არიან, რამდენ ფულსაც აახევენ მოვაჭრეებს, იმდენი პროცენტი ეკუთვნით. რას არ აკეთებენ თურმე, რათა როგორმე ესა თუ ის სავაჭრო ობიექტი 500-500 ლარით დააჯარიმონ“.

***– ბატონო გიორგი, ეს ის ორგანიზაციაა, თითქოს მოვაჭრეების დახმარებისთვის რომ შექმნეს?***

– დიახ, უძიმეს მდგომარეობაში ჩააყენეს სავაჭრო ობოექტები. ბევრი მათგანი დაიხურა. პატარა სავაჭრო ობიექტს სად აქვს იმის საშუალება, ყოველ თვეში კიდევ 500 ლარი ვიღაცას უხადოს. ამიტომ ხან რა უგონებენ, ხან – რას. ზაფხულში ვიღაც ფეხმძიმე ქალი შესულა, ვაიმე, ცუდად ვარ, ჩქარა, წყალი, წყალი მოგვეცით, გადავიხდიო. ამტყდარა ერთი ამბავი, დავარდნილა კიდევაც ძირს. გამოაღო იმ საწყალმა გამყიდველმა მაცივარი, შეეცოდა და წყალი მისცა. გახსნა „ფეხმძიმე ქალმა“ დალია და ზეზე წამოხტა (თურმე ბალიში ჰქონდა ჩადებული), ქვითარი რატომ არ გამოწერეო და 500 ლარით დააჯარიმა. ასე ავსებენ ბიუჯეტს. ამ ქვეყანაში შემოსავლის წყარო არ არის., რადგან არაფერი ვითარდება, არავინ არ შემოდის. ბუნებრივია, არც არავინ შემოვა იმიტომ, რომ ეს ქვეყანა გადაიქცა ძალადობის არეალად.

***– ახლა ჩვენ ძალიან ტრაგიკული სიტუაცია დავხატეთ, სააკაშვილს მთელი ზაფხულის შრომა ჩავუყარეთ წყალში, მაგრამ სააკაშვილმა ამერიკაში თავისი მამობილის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე გამოვიდა და ისეთ „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყანა წარმადგინა მსოფლიოში, რომ უკეთესს ვერ ინატრებ. ისე, რასაც ამბობს, ისეთი რომ იყოს რეალურად, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.***

– სააკაშვილი რას ილაპარაკებს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ცალკეა ასეთი ინფორმაციები, ცალკეა „ვიკილიქსის“ საიდუმლო მასალები, საიდანაც ჩანს, რას წერენ ამერიკის ელჩები საქართველოში აქედან იქ. ყველამ ყველაფერი კარგად იცის.

***– მაინც რომ უჭერენ მხარს?***

– მხარს უჭერენ იმიტომ, რომ, ჯერჯერობით, ამ ქვეყანაში ალტერნატივა არ არსებობს, ამ ხელისუფლებას ალტერნატივა რომ ჰყავდეს, ორ თვეში ეს ხელისუფლება აღარ იქნება. ვის რად უნდა ასეთი ხელისუფლება. ფაქტობრივად, სააკაშვილი საფრთხის შემცველი გახდა არა მარტო შიგნით (ჩვენთვის, ყველასთვის), არა მარტო რეგიონისთვის, არამედ წამყვანი ქვეყნებისთვის, რომლებსაც თავისი ინტერესები აქვთ ამ რეგიონში. ისინი ელოდებიან ალტერნატივის წარმოშობას. ამიტომაა, რომ ალტერნატივა ვერაფრით ვერ წარმოიშვა.

***– როგორ არის საკაშვილი საფრთხის შემცველი? რა, სააკაშვილს შეუძლია კიდევ ომი წამოიწყოს?***

– 2008 წელი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია შესუსტებულიყო? მათ აინტერესებთ მილსადენებისა და გაზსადენების საკითხი, ტრასეკას პროგრამა, ნაბუქოს პროექტი. ნაბუქოს პროექტის განხორციელების საკითხმა 20014 წლამდე გადაინაცვლა.

***– ახლა გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს სააკაშვილი „ეკონომიკის გაუმჯობესებაზე“, ტურიზმსა და საკუთარი ვენახების მოვლა-პატრონობაზეა გადართული.***

– არა, ეს მხოლოდ პიარია. ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწფოს იმიტაციასთან. სახელმწიფო, ფაქტობრივად, არ არსებობს. ხელისუფლების სათავეშია კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღოს მოსახლეობიდან. გაეროს მიგრაციის დეპარტამენტი აქვეყნებს მონაცემებს (რომელიც ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა, ანუ იმის მიხედვით არის გაანგარიშებული, რაც აღრიცხვადია) საერთოდ, საქართველოდან გასულია მილიონ 60 ათასი კაცი. ვინც არაოფიციალურად იმყოფება საქართველოს საზღვრებს გარეთ, სულ საქართველოდან გასული იქნება დაახლოებით მილიონ 600-700 ათასი კაცი, რომელიც ემთხვევა ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებულ მოსახლეობის რაოდენობას. 2010 წელს საქართველოს ფარგლებს გარეთ გასული ადამიანების მიერ ბანკების საშუალებით საქართველოში გადმორიცხუ-;ია 824 მილიონი დოლარი. ამას დაამატე კიდევ ის თანხა, სხვადასხვა გზებით რომ მოდის. აგზავნის ის ხალხი, ვინც არალეგალურად იმყოფება სხვადასხვა ქვეყნებში. ყოველწლიურად მილიარდზე მეტი მაინც შემოდის. ეს ხელისუფლებამ შემოსავლის წყაროდ აქცია იმიტომ, რომ ვალუტის კურსი დააგდეს. კაცს თვეში 200 დოლარი რომ ჩამოუვა, გადასახურდავებლად მივა და დოლარის დაბალი კურსი რომ დახვდება, რაღას აიღებს. ხელისუფლება აქედანაც ფულს აკეთებს.

***– ე.ი. დღედაღამ მაქინაციებზე ფიქრობენ.***

– რა თქმა უნდა. მე ამას ვუწოდებ საქართველოს ხელისუფლების ნავთობის საბადოს. ჩვენ ხომ ნავთობის საბადო არ გაგვაჩნია, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებს. ეს არის ჩვენი ქვეყნის ნავთობის საბადო. ამიტომ ხელისუფლებას აწყობს, რაც შეიძლება მეტი ხალხი გავიდეს ქვეყნიდან.

***– ხელისუფლებას აწყობს, რაც შეიძლება მეტი ხალხი გავიდეს საქართველოდან, რომ ამ გზით „ნავთობის საბადო“ რომ არ გამოელიოს?***

– დიახ, რადგან ვალუტა სხვანაირად აღარ შემოდის. ეს არის ერთადერთი წყარო, სავალუტო შემოსავლები არ არის და აქეთ-იქით გარბინ. ბრაზილიასთან ვაკეთებთ უვიზო რეჟიმსო. რად გვინდა ბრაზილიასთან უვიზო რეჟიმი? რა ქნას ამ ხალხმა, სახლში ცოლ–შვილი შიმშილით ეხოცება და ცდილობს, აქედან გაიქცეს. ამათი სტატისტიკის დაჯერება არ შეიძლება, მაგრამ ხანდახან არის ციფრები, რომლებიც რეალურია, რადგან რაღაცნაირად ბიუჯეტთანაა კავშირში. პირველი-მეცხრე კლასის, ანუ 6-15 წლის ბავშვების რაოდენობა საქართველოში 23%-ით არის შემცირებული 2004-2011 წლებში.

***– სააკაშვილს რომ ჰკითხო, 2003 წლის შემდეგ, ხალხი საქართველოში დაბრუნდა და ბავშვების რაოდენობამაც იმატა.***

– ეს არის მათი ოფიციალური სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. ბავშვების რაოდენობა სკოლებში არის ერთ-ერთი ინდიკატორი ჩვენი მოსახლეობის რაოდენობისაც. საქართველოდან ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბის. გაიზარდა საქართველოდან თავშესაფრის მაძიებულია რიცხვი. გაეროს მონაცემებით, სულ საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა 86 ათასმა კაცმა. არ გაინტერესებთ, ვარდების რევოლუციის შემდეგ რამდენმა ითხოვა? 43 ათასმა, 50%-ზე მეტმა კაცმა საზღვარგარეთ ითხოვა თავშესაფარი. კატასტროფა კიდევ ისაა, რომ საქართველოს მოქალაქეები ქვეყნიდან გადიან, სამაგიეროდ კი სხვები შემოდიან და რჩებიან. ერთი დემოგრაფის მონოგრაფია ვნახე, სადაც 2004-2005-2006 წლის მონაცემები აქვს შესწავლილი. სხვა ქვეყნის მოქალაქეები და ჩვენი მოქალაქეებია შედარებული. სამი წლის განმავლობაში შემოსული და გასული უცხო ქვეყნის მოქალაქეებიდან 144 ათასი დარჩა საქართველოში.

***– უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში რა აინტერესებთ, რატომ რჩებიან?***

– ამის მონაცემი არ არსებობს, არ ვიცი, ვინ არიან ისინი და რა აინტერესებთ, მაგრამ შემოსულ და გასულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის სხვაობაა 144 ათასი.

***– ანუ ყველაფერთან ერთად საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციაც უარესდება.***

– დიახ, ბატონო. არსებობს არშემდგარი სახელმწიფოების ინდექსი. 177 ქვეყანაა შესწავლილი.

***– არშემდგარ სახელმწიფოებს შორის ჩვენც ვართ? აბა, სააკაშვილი რომ აცხადებს, სახელმწიფო შევქმენიო, ხალხს ატყუებს?***

– 2011 წლის მონაცემებით არშემდგარ სახელმწიფოებს შორის 47-ე ადგილზე ვართ. ეს კვლევა საინტერესო იმით არის, რომ ან ინდექსის შიგნით არის უამრავი ინდექსი, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებს რეალურ მდგომარეობას. აქ არის ერთი ინდექსი, რომელიც პირდაპირ ლაპარაკობს სახელმწიფოს მართვის უუნარობაზე, უზრუნველყოფს ადამიანების ნორმალური მდგომარეობა და უსაფრთხოება. ამ ინდექსით საქართველო მსოფლიოში 167 ქვეყნიდან 35-ე ადგილზეა. მაგალითად, სომალი – პირველ ადგილზე. არსებობს კიდევ ერთი მონაცემი. გამოკვლეულია სახელმწიფო აპარატის გავლენა. სახელმწიფოს ძალისმიერი სტრუქტურების გავლენა სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობასა და ეკონომიკაზე – 32-ე ადგილი მსოფლიოში. კლანური და ჯგუფური ელიტის გავლენის თვალსაზრისით მსოფლიოში საქართველო მე-18 ადგილზეა, ხოლო სომალი – მე-2 ადგილზე.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

შედით საიტზე atb.ge „%!!

# ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **ბაკურ კვეზერელი** დაიბადა 1982 წლის 5 იანვარს თბილისში.

2002 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის სისტემების ფაკულტეტი ეკონომიკური-ინფორმატიკის სპეციალობით.

2005 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა საბანკო საქმის სპეციალობით და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

2005 წელს ქ. ტოკიოს ტოკასიუკუს უნივერსიტეტში გაიარა მოკლე კურსი თემაზე: ,,საერთაშორისო დახმარების ეფექტური გამოყენება".

2002-2003 წლებში მუშაობდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში მინისტრის თანაშემწედ.

2003-2004 წლებში – ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის აპარატში სპეციალისტად.

2004-2005 წლებში მუშაობდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

2005-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონული ეკონომიკის განყოფილებაში.



2006 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის მარტამდე იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ხოლო 2007 წლის 3 მარტიდან 2008 წლის 29 აპრილამდე - მინისტრის პირველი მოადგილე.

2008 წლის 29 აპრილს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად.

ჰყავს მეუღლე, ნათია ვერულაშვილი და შვილი ელისაბედი.

2010 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად სოფლის მინისტრი უბინაოა. სამაგიეროდ მის მეუღლეს აქვს ბინა, ნუცუბიძის მე-4 პლატოზე. ბინის ფართი 115.0 კვ.მ.-ია.

ნათია ვერულაშვილის სახელზეა ასევე გაფორმებული ავტოფარეხი, რომელიც ასევე ნუცუბიძის მე-4 პლატოზე მდებარეობს. ავტოფარეხის ფართი 32.0 კვ.მ.-ია.

არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ ფასიან ქაღალდებს, რომელთა ღირებულება აღემატება 10.000 ლარს.

გასულ წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციით, მინისტრს ბაზისბანკში გახსნილი აქვს სადეპოზიტო ანგარიში. რომელზეც 1000.0 აშშ დოლარი ერიცხებოდა.

მინისტრის მეუღლეს თი-ბი-სი ბანკში გახსნილ სახელფასო ანგარიშზე 2000.0 ლარი ერიცხებოდა.

ნათია ვერულაშვილს თი-ბი-სი ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე 30500.0 დოლარი ერიცხებოდა.

მინისტრ კვეზერელს ლიბერთი ბანკში გახსნილ სახელფასო ანგარიშზე 86.0 ლარი ერიცხებოდა.

არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ მონაწილეობენ სამეწარმეო საქმიანობაში.

მინისტრის რანგში ბაკურ კვეზერელმა ჯამაგირის სახით 48480.0 ლარი მიიღო.

მისი მეუღლე დასაქმებულია ქემონიეს საქართველოში განათლების პოლიტიკის სპეციალისტია. მან გასულ წელს ხელფასის სახით 28359.0 ლარი აიღო.

მართალია მინისტრს ბინა არა აქვს, მაგრამ მასზე ვერავინ იტყვის, უპოვარიაო. თუმცა მავანთა ფონზე მაინც ღარიბულად გამოიყურება.

ის პოლიტიკური შეფასებების გაკეთებას და ოპოზიციის გაღიზიანებას ერიდება. ამის მიუხედავად ოპოზიცია მას მაინც გადაეკიდა. საპარლამენტო ოპოზიცია მის მოხსნას თვეში სამჯერ მაინც ითხოვს.

მინისტრის მოსახსნელი არგუმენტები მათ მრავლად აქვთ. სოფლის მეურნეობა ჩვენთან რომ არ ყვავის, ამას კვეზერელიც აღიარებს.

ამასთან, პირობას დებს, რომ ვითარებას გამოასწორებს. ოპოზიციას მისი არ სჯერა. მინისტრთან დაკავშირებით ბევრ კურიოზულ რამეებს ჰყვებიან. ყველაზე მოდური კურიოზი ქალი ძროხაა. მავანთა მტკიცებით, ასე უწოდა კვეზერელმა ჩვეულებრივ ძროხას. თუმცა მერე გაირკვა, რომ ეს ფრაზა მას კი არა, არამედ მის წინამორბედს ეკუთვნის.

ბოლო ხმაური სოფლის პატრონს წინა კვირაში პარლამენტში აუტეხეს. იქ ჰიბრიდულ სიმინდზე იმართებოდა მოსმენა. ამ მოსმენაზე პოზიციამ და ოპოზიციამ სიმინდის ტაროები ატრიალეს. ნაციონალებმა ოპოზიციას საგანგებოდ ჭადიც კი გამოუცხვეს, მაგრამ რად გინდა, მათი გული მაინც ვერ მოიგეს.

## გასწორება

**„ახალი თაობის" ამა წლის 5 ოქტომბრის ნომერში ინტერვიუში ნოდარ ნათაძესთან, დაშვებულია შეცდომა – ნაცვლად „თურმე მეორე დღეს გაეროში სარკოზი უნდა გამოსულიყო. სარკოზიმ პირდაპირ მოითხოვა...", უნდა იყოს "თურმე მეორე დღეს გაეროში ლავროვი უნდა გამოსულიყო. ლავროვმა პირდაპირ მოითხოვა...".**

*რედაქცია*

# ჯარიმები ბიუჯეტს 100 მილიონ ლარს შემატებს

## რამდენი მილიონით მეტს მიიღებენ ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და მათი სხვა კოლეგები?

**პარლამენტში 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყო. დეპუტატების თქმით, პროექტი სრულიად ახალი სახით არის წარმოდგენილი და პროგრამულ დაგეგმარებაზეა დაფუძნებული. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გიგი წერეთლის განმარტებით, ბიუჯეტის განახლებულ პროექტში პრიორიტეტულია: ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, სოციალური სფერო. დეპუტატ გია ცაგარეიშვილის თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტს მმართველი გუნდი არჩევნებში ხალხის მოსასყიდად გამოიყენებს და ამიტომაც, აქცენტი სოციალურ სფეროზეა გაკეთებული. რა თქმა უნდა, არავისთვისაა საიდუმლო, რომ არჩევნების პერიოდში ხელისუფლება განსაკუთრებულ გულუხვობას იჩენს და ამომრჩევლის ღიად თუ ფარულად მოსასყიდად თანხებს არ იშურებს.**

შალვა ჯოხაძე

თუმცა, პარლამენტში ასეთ მოსაზრებებს ყურს არ უგდებენ, აქ ბიუჯეტთან დაკავშირებით გამალებული მუშაობა მიმდინარეობს. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, ბიუჯეტის პროექტის განხილვისას რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა ვადა დაცული იქნება. მან კომიტეტების თავმჯდომარეებს მიმართა, რომ საკომიტეტო განხილვები 20 ოქტომბრამდე დაასრულონ.

მთავრობამ პარლამენტს მიმდინარე კვირაში 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა, რომლის შემოსავლები 6.606 მლრდ ლარს, ხოლო ხარჯები – 6.131 მლრდ ლარს შეადგენს. (ცნობისათვის, წელს ბიუჯეტის შემოსავლები 6.304 მლრდ ლარით, ხოლო ხარჯები 5.966 მლრდ ლარით არის განსაზღვრული).

მომავალი წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, წლევანდელის მსგავსად, 5.5%–ით განისაზღვრა, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზი 26.494 მლრდ ლარია. ბიუჯეტის პროექტში, მომავალ წელს ინფლაციის 6%–იანი მაჩვენებელია პროგნოზირებული.

პროექტის მიხედვით, მშპ–ს მიმართ საბიუჯეტო დეფიციტი არსებული 3.7%-დან 3.6%-მდე, ხოლო სახელმწიფო ვალის მოცულობა 40.6%-დან 39.7%-მდე მცირდება.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში, გრანტების ოდენობა 206 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების სახით პროგნოზირებულია 100 მლნ ლარი.

ყველაზე დიდი ზრდა გათვალისწინებულია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის, რომელიც წლევანდელთან შედარებით, გაისად დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 153 მლნ ლარით მეტს მიიღებს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ პირველად, მომავალ წელს დაფინანსება 30 მლნ ლარით გაეზრდება თავდაცვის სამინისტროს. წლევანდელთან შედარებით, 18 მლნ ლარით მეტს მიიღებს ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მომავალ საარჩევნო წელს 30–მლნ ლარიანი ზრდაა გათვალისწინებული შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვისაც. მიმდინარე წელთან შედარებით,



ვანო მერაბიშვილი

საპენსიო მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხები 89 მლნ ლარით იზრდება, თუმცა პროექტში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, იგეგმება თუ არა 100–ლარიანი პენსიის ზრდა.

2012 წელს სამინისტროების დაფინანსება, ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ასეთია: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო– 1.722 მლრდ ლარი (2011 წ - 1.692 მლრდ ლარი); თავდაცვის სამინისტრო – 690 მლნ ლარი (2011 წ - 660 მლნ ლარი; 2010 წ – 728 მლნ ლარი); შინაგან საქმეთა სამინისტრო – 584 მლნ ლარი (2011 წ - 566 მლნ ლარი; 2010 წ – 549.2 მლნ ლარი); ფინანსთა სამინისტრო – 111.7 მლნ ლარი (2011 წ – 204.7 მლნ ლარი); ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 80.3 მლნ ლარი (2011 წ – 106.3 მლნ ლარი); რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 914.7 მლნ ლარი (2011 წ - 879.1 მლნ ლარი); ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო – 369.3 მლნ ლარი (2011 წ - 216 მლნ ლარი); იუსტიციის სამინისტრო – 74 მლნ ლარი (2011 წ - 70.7 მლნ ლარი); სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო - 120 მლნ ლარი (2011 წ - 106.5 მლნ ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტრო – 76 მლნ ლარი (2011 წ – 73.2 მლნ ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 560 მლნ ლარი (2011 წ - 555 მლნ ლარი); კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო – 55 მლნ ლარი (2011 წ - 55.6 მლნ ლარი); სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 35.5 მლნ ლარი (2011 წ – 35 მლნ ლარი); სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 69.8 მლნ ლარი (2011 წ – 79.9 მლნ ლარი); გარემოს დაცვის სამინისტრო – 14 მლნ ლარი (2011 წ - 13.9 მლნ ლარი); ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 31.8 მლნ ლარი (2011 წ - 40.7 მლნ ლარი); რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 1.2 მლნ ლარი (2011 წ - 1.2 მლნ ლარი); ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 2. მლნ ლარი (2011 წ - 1.6 მლნ ლარი); დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 800 ათასი ლარი (2011 წ - 788 ათასი ლარი).

მომავალ წელს პარლამენტის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის და მთავრობის კანცელარიის დაფინანსება თითქმის უცვლელი დარჩება და შესაბამისად, 40.1 მლნ ლარს, 14.1 მლნ ლარს და 8.5 მლნ ლარს შეადგენს. უცვლელია ასევე პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების ოდენობები და თითოეული 50 მლნ ლარს შეადგენს.

საპარლამენტო წელთან დაკავშირებით, თითქმის სამჯერ იზრდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება, რომელიც, პროექტის თანახმად, 37.9 მლნ ლარი იქნება.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე მომავალი წლისთვის 599.7 მლნ ლარი დაიხარჯება, საიდანაც საბიუჯეტო სახსრები, პროექტის მიხედვით, 254.6 მლნ ლარი, ხოლო კრედიტებით მიღებული თანხები 345 მლნ ლარი იქნება. კრედიტების წილი სჭარბობს ასევე მომავალ წელს დაგეგმილ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დაფინანსებაში.

პროექტის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერი 888.9 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც 490 მლნ ლარი თბილისისთვის არის გამოყოფილი, რაც 50 მლნ ლარით მეტია წელს გათვალისწინებულ სახსრებზე.

მკვეთრად მცირდება საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება წელს არსებული 45 მლნ ლარიდან 28.2 მლნ ლარამდე. 2011 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის, დაახლოებით, ნახევარი რუსულენოვანი არხისთვის იყო გამოყოფილი.

საქართველოს საპატრიარქოს, 22.8 მლნ ლარის ოდენობით წელს გამოყოფილი დაფინანსება 2012 წელსაც უცვლელად უნარჩუნდება.

# კასპაროვი პუტინის რეჟიმის დასასრულს პროგნოზირებს

## ჩაიშლება თუ არა სოჭის ოლიმპიადა და გადაჰყვება თუ არა მას პუტინი

შალვა ჯოხაძე

გარი კასპაროვი კვლავ საქართველოშია. მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრამდე, რუსმა ოპოზიციონერმა ქართველი დეპუტატები დააფასა და მათ წინაშე სხვადასხვა თემაზე ისაუბრა. რასაკვირველია, გამოსვლის მთავარი თემა პუტინისადმი მისი ანტიპათია გახლდათ. ამ თემაზე საუბრის მოსმენა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხომ ასე ძალიან სიამოვნებთ!

პუტინთან ერთად, კასპაროვს განსაკუთრებით სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე აქვს ,,აკრეფილი". კასპაროვისთვის პუტინი და ოლიმპიადა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. კასპაროვის თქმით, ოლიმპიადა ჩაიშლება და ეს პუტინის რეჟიმის დასასრულის დასაწყისად იქცევა.

– სოჭის ოლიმპიადა აუცილებლად ჩავარდება, რადგანაც ათობით მილიონი იყრება და არავინ იცის, რაში. რეალურად, იქ არაფერი შენდება. საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია ჩემთვის გაუგებარია. ამ პოზიციით გაოცებული ვარ, რადგან არ აღიარებენ იმ მოსალოდნელ ჩავარდნას, რაც პროექტს ემუქრება. მეტიც, მიდიან იქ და ნანახთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილებებიც გამოაქვთ. მაინტერესებს, რას იტყვიან, როცა 2013 წელს ფაქტის წინაშე დადგებიან.

თავის დროზე, ოლიმპიურმა კომიტეტმა სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღო. ზამთრის ოლიმპიადის სუბტროპიკულ ზონაში ჩატარება ხომ სასაცილოა. ოლიმპიური კომიტეტის ასეთი გადაწყვეტილების წყალობით, პუტინმა ძალაუფლების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ამის მერე, ის არც სხვა ქვეყნების ანექსიაზე დაიხევდა უკან, - აღნიშნა კასპაროვმა.

კასპაროვის მოსაზრებით, პუტინი აპირებს, რომ რუსეთი მთელი ცხოვრება მართოს, სანამ ცოცხალია, იყოს და იყოს. ეს კი პრობლემა იქნება არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ მსოფლიოსთვის. თუმცა, საბოლოოდ, მას მუბარაქივით და კადაფივით დაემართება.

ბუნებრივია, გარი კასპაროვი საქართველოში ნიკოლა სარკოზის ვიზიტსაც შეეხო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ვლადიმერ პუტინის ჭრილში ისაუბრა.

– ნებისმიერ ინიციატივაზე, რომელიც კავკასიის სტაბილურობას ეხება, პუტინი მწვავედ რეაგირებს. პუტინის ხელისუფლება არასტაბილურობით სათავისოდ იკლებს ქულებს. მუდმივი შანტაჟი და მუქარა არა მხოლოდ კავკასიას ეხება, არამედ - მთელ ევროპას. არ ვიცი, რა მიზანი აქვს სარკოზის ვიზიტს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ევროპა და ამერიკა პუტინის უფრო ობიექტურად შეფასებას დაიწყებს. გაიგებენ, რომ ყოველგვარი საუბარი ლიბერალიზაციაზე, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გვესმის, რეალობასთან არანაირად არ არის კავშირში. სარკოზის უნდა ესმოდეს, რომ ოთხი წლის წინ გაფორმებული შეთანხმება არ სრულდება და ეს შემთხვევითი არ არის. ეს ლოგიკური გახლავთ, რადგან პუტინი ყოველთვის არაცივილური პარტნიორია, – განაცხადა კასპაროვმა.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა მოჭადრაკემ პარლამენტში პროგრამა „ჭადრაკი სკოლებში – ახალი მოძრაობა თანამედროვე განათლებისთვის" წარადგინა. კომიტეტის სხდომას გიორგი ასანიძე უძღვებოდა. გარი კასპაროვმა ახალ პროგრამაზე თავისი გამოსვლის დასაწყისში ისაუბრა. კასპაროვმა აღნიშნა, რომ ჭადრაკის სკოლებში განვითარების პროგრამა ევროკავშირში მან უკვე წარადგინა და ის ევროკავშირის ქვეყნების განათლების სისტემაზეა მორგებული. გიორგი ასანიძემ განაცხადა, რომ ჭადრაკის სკოლებში განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით კასპაროვი განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინსაც შეხვდება.

# პედაგოგებს პოლიტიკური ნიშნით დევნიან

შორენა გონგლაძე


შალვა ოგბაიძე

"დემოკრატიული მოძრაობა" პოლიტიკური ნიშნით სკოლებიდან პედაგოგთა დათხოვნის მორიგ ფაქტებზე საუბრობს. ამასთან დაკავშირებით, პარტიის მთავარი საბჭოს წევრმა, შალვა ოგბაიძემ გუშინ პრეს-კონფერენცია გამართა.

ოგბაიძის განცხადებით, სააკაშვილის ხელისუფლებამ, პედაგოგის დღესთან დაკავშირებით, სიურპრიზი მოუმზადა კიდევ რამდენიმე პედაგოგს.

მისი ცნობით, გორში, სოფელ ტინისხიდის სკოლის პედაგოგი, მანანა არჩვაძე სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ დაითხოვეს, რომ მისი შვილი, თამარ კოდოშვილი, "დემოკრატიული მოძრაობის" რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია.

– ასევე თბილისის 180-ე სკოლიდან დაითხოვეს, პარტიის სამგორის აქტივისტის, ავთო მისიშვილის დედა, ქართული ენის პედაგოგი, მანანა გოგიჩაიშვილი და პარტიის გლდანის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტის, დავით მეფარიშვილი მეუღლე, შორენა გუდავაძე, რომელიც 118-ე სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი იყო, – აღნიშნა ოგბაიძემ.

მისივე თქმით, 26 მაისის შემდეგ, ორივე აქტივისტი ადმინისტრაციულ სასჯელს იხდიდნენ, ხოლო სულ ახლახან, დავით მეფარიშვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ოგბაიძე ასევე გამოეხმაურა, 26 სექტემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში ყოფილი პედაგოგის, 53 წლის ლამზირა ყორჩიშვილის გატაცებისა და ცემის ფაქტს. მისი თქმით, სააკაშვილის რეჟიმმა, როგორც სჩვევია, ხელი დააფარა სისხლის სამართლის დამნაშავეებს – გურჯაანის პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც დღემდე დაკავებულები არ არიან და უფრო მეტიც, თავის ადგილებზე აგრძელებენ მუშაობას, გამოძიებას კი ამ დრომდე ექსპერტიზა არ დაუნიშნავს.

– ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს, გურჯაანის პოლიციის სამმართველოს უფროსის, ლევან ბიწკინაშვილის "ნებაყოფლობით", მშვიდად და უდრტვინველად სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადების დაწერა, – დასძინა მან.

ოგბაიძის შეფასებით, ეს არის იაფფასიანი შურისძიება, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას ძალიან ცუდად შემოუბრუნდება.

# ალეკო შალამბერიძე; „კარგია, ივანიშვილი პოლიტიკაში რომ მოდის“

თეა მარხვაიძე

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებამ საქართველოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ნაციონალებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი გაინერვიულეს. თან ისე, რომ ჯერ არ იცოდნენ, რა განცხადების გაკეთებას აპირებდა ივანიშვილი.

ფორიაქი და ნერვიულობა ოპოზიციურ ფლანგზეც თვალშისაცემი იყო. რამდენიმეს შემოელანძლა კიდევაც ცნობილი ბიზნესმენი. მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც არცთუ შორეულ წარსულში მის მზეს ფიცულობდნენ.

ბიზნესმენის ეს გადაწყვეტილება ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ალეკო შალამბერიძისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, ის მიესალმება ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას.

რატომ არის ეს მისასალმებელი და ვის რა ეწყინა, ამის შესახებ შალამბერიძე "ახალ თაობას" ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

– ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მივესალმები. მივესალმები იმიტომ, რომ საკითხი სწორად არის დასმული.

***– რას გულისხმობთ?***

– ის აქცენტს საპარლამენტო არჩევნებზე აკეთებს. ივანიშვილი ზოგიერთებივით. ვირტუალურ პრეზიდენტობაზე არ აცხადებს პრეტენზიას.

***– და ეს არის თქვენთვის მისასალმებელი?***

– მისასალმებელია იმიტომ, რომ ეს არის საქმიანი ნაბიჯი. საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საპარლამენტო არჩევნებისთვის ბრძოლა არის ის მეთოდი, რომელიც საქართველოს განვითარების ნორმალურ გზაზე გადაყვანის საშუალებას მისცემს.


ალეკო შალამბერიძე

***– მისი გეგმების შესახებ ჯერ არავინ არ იცის. ამის შესახებ არც თქვენ იცით. საინტერესოა, რატომ აკეთებთ ასეთ კომენტარს?***

– წინასწარ კომენტარების გაკეთება მართლაც უმადური საქმეა. თუმცა მთლად ჰაერზე არავინ არაფერს ამბობს. 2 დღის წინ მისმა პრესსამსახურმა გააკეთა განცხადება, რომელიც კომენტარის გასაკეთებლად საკმარისია. ეს არის სერიოზული განცხადება. და არა ისეთი როგორიც ლევან ვასაძემ გააკეთა.

***– მისი რომელი განცხადება გაქვთ მხედველობაში?***

– რუსულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას. ასეთ განცხადებებს მე საეჭვოდ მივიჩნევ.

***– მოგვიანებით მან ხომ თქვა, რომ ეს იყო სიგრუე და ის საპრეზიდენტო არჩევნებში არ აპირებდა მონაწილეობის მიღებას.***

– ეს ყველაფერი მაინც საეჭვოა. განცხადებები პრეზიდენტობაზე არის არასერიოზული. ჩვენ გვყავს დასამარცხებელი სააკაშვილის რეჟიმი, რომელსაც აქვს უდიდესი ძალა, ჯარი, პოლიცია, ბიუჯეტი. მას ამ ძალის კანონიერად გამოყენების უფლებაც აქვს. დღევანდელ ვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვა. საჭიროა საპარლამენტო არჩევნებისთვის სერიოზული მზადება. ამ პროცესში ისეთი ხალხი უნდა ჩაერთოს, რომლებიც საქმეს თავს წარმატებით გაართმევენ.

***– ივანიშვილი ამ საქმეს თავს წარმატებით გაართმევს?***

– მან სწორი ნაბიჯი უკვე გადადგა, როცა გეზი საპარლამენტო არჩევნებისკენ აიღო.

***– ხელისუფლებას მისი გამოჩენა არ ესიამოვნა. გაღიზიანდა ოპოზიციაც. ხელისუფლება გასაგებია, მაგრამ ოპოზიცია რატომ არის უკმაყოფილო?***

– ყველაზე არ ითქმის, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა ეწყინათ. ეს ზოგიერთებისთვის აღმოჩნდა მიუღებელი.

***– მათთვის რატომ აღმოჩნდა საწყენი?***

– სხვადასხვა მიზეზთა გამო. ზოგს მერკანტიული მოსაზრებებიდან გამომდინარე ეწყინა. ხმამაღლა ვამბობ, დღეს არ არის მერკანტიული მოსაზრებების დრო. არც იმის დროა, ვიღაცა შევარდეს პარლამენტში და სკამზე წამოსკუპდეს. ახლა სხვა რამის დროა.

***– სხვა რამეში რას გულისხმობთ?***

– ახლა ხელების დაკაპიწების დროა, რათა სააკაშვილმა ვერ შეძლოს პარლამენტში სასურველი რაოდენობის ხალხის გაყვანა. პარლამენტში ოპოზიცია იმ დოზით უნდა მოხვდეს, რა დოზითაც შეიძლება სააკაშვილის ქმედებების განეიტრალება.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „დასავლეთი სააკაშვილის ალტერნატივას ვერ ხედავს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***– მოკლედ, ძალიან "დიდი წარმატებები" აქვს ჩვენს ქვეყანას. საინტერესოა, როდესაც სააკაშვილს უსმენენ და ამ მონაცემებს ნახულობენ, მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს რა დასკვნა გამოაქვთ?***

– საქმე ისაა, რომ დასავლეთი დაინტრესებულია ჩვენი ქვეყნის სტაბილურობით. მათ თავისი მიზნები აქვთ. მაგალითად, ამ ომმა კატასტროფული პრობლემები შეუქმნა დასავლეთის ინტერესებს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. ჩვენ ვართ ტრანზიტული ქვეყანა, რომელმაც აზიას განვითარების საშუალება უნდა მისცეს. აი, რამდენად სერიოზული გეოპოლიტიკური ფუნქცია გვაქვს, ანუ აქ არ არის საუბარი მხოლოდ აზერბაიჯანსა და სოხეთზე, შუა აზიაზეც არის ლაპარაკი, რომელიც თავისი რესურსებით უმდიდრესია. ჩვენ გვაქვს უდიდესი გეოპოლიტიკური ფუნქცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამიტომ ისინი დაინტერესებული არიან, რომ საქართველოში, ისევე, როგირც აზერბაიჯანსა და სომხეთში, როგორმე სტაბილურობა იყოს. 2008 წელს რაც მოახდინეს იციან, მაგრამ იმდენად დიდი ინტერესები აქვთ, ცდილობენ, იქნებ როგორმე სიმშვიდე უზრუნველყონ. ამიტომ ხან ფულს იძლევიან, ხან დახმარებებს. იგივე არ შემდგარ ქვეყნებს შორის არის ერთი ინდექსი, რაც ყველაზე საშინელია არა მარტო ამ ხელისუფლებისათვის, არამედ აშინებს დასავლეთსაც, რომელიც ქვეყანაში დესტაბილიზაციის წინაპირობაა. აქ არის ერთი ინდექსი, რომლის მიხედვითაც დადგენილია, უკმაყოფილებითა და შურისძიებით გამწვავებული ადამიანების რაოდენობა ქვეყანაში.

***– ეგეც შესწავლილია?***

– დიახ, ჩვენ ვართ 31-ე ადგილზე მსოფლიოში. სომალი არის მე-4 ადგილზე. ამ მონაცემებს დასავლეთში ხომ უყურებენ, იციან, რამდენად საფრთხის შემცველია ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა. ფაქტობრივად, ადამიანების ძალიან დიდი პროცენტი გამსჭვალულია იმით, რომ როგორმე მოიშოროს ეს ხელისუფლება ბრძოლით. დასავლეთში იციან, რომ უმართავი პროცესი რომ მოხდეს, მათ ინტერესს შეიძლება ძალიან დიდი საფრთხე შეექმნას. ჩვენზე ცოტათი წინ იყვნენ ლიბია და ის ქვეყნები, სადაც რევოლუციები მოხდა. ანუ იქ მომწიფებული იყო სიტუაცია, როგორც აქ. ამიტომ დასავლელები ცდილობენ საქართველოში როგორმე მშვიდობიანად გადაწყდეს პრობლემები.

***– ისე სააკაშვილს (და მის ხელისუფლებას) ძალიან არ სურს ლიბიას და მსგავს რევოლუციურ ქვეყნებს და მათ ლიდერებს შეედაროს. თავის დაძვრენას ცდილობს.***

– სწორედ ამიტომ დასავლეთი ელოდება სერიოზული დასავლური ორიენტაციის მქონე ალტერნატივის გამოჩენას, რომელიც ყოველგვარი წივილკივილის გარეშე განაცხადებს (და რეალურადაც იქნება), რომ ჩვენ ვართ ძლიერი და მომზადებული ხელისუფლებაში მოსასვლელად. შემდეგ მშიდობიანად გადაწყდება ყველაფერი. იმ შემთხვევაში თუ აქ ძალიან სერიოზული დესტაბილიზაცია მოხდება, რუსეთი საბოლოოდ განიმტკიცებს პოზიციებს საქართველოში. ამ ეტაპზე სააკაშვილი იმიტომ ურჩევნიათ, რომ დასავლეთი პოლიტიკაში ძალიან პრაგმატულია. თუ ალტერნატივა გამოჩნდება, შედეგი იქნება. თუ ალტერნატივა არ გამოჩნდება, ალბათ, სხვა რაღაცას მოიფიქრებენ.

# გიორგი გუგავა: „სააკაშვილი საერთაშორისო დონის პროვოკატორია“


გიორგი გუგავა

შორენა კოწოწაშვილი

საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის საქართველოში მეორედ ვიზიტთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტია ფრანგულ მხარეს გარკვეული ზომების მიღებისკენ მოუწოდებს, სააკაშვილის ხელისუფლებას კი სახელმწიფო მეთაურთა წინააღმდეგ განზრახ განხორციელებულ პროვოკაციებში ამხელს.

– ჯერ კიდევ ვერ მოგვიცილებია თბილისში ბუშის ვიზიტისას ზოგიერთი ჩვენი მოქალაქის მლიქვლენური კუნტრუშით გამოწვეული შავი ლაქა. ამჟერად სისხლში ამოსვრილი სააკაშვილი ამზადებს კვლავ სპექტაკლს მეგობარი საფრანგეთის პრეზიდენტის – სარკოზის გამოყენებით, – აცხადებს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა.

გიორგი გუგავამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და ნაცმოძრაობის მხარდამჭერებს მოუწოდა, არ მივიდნენ 7 ოქტომბერს დაგეგმილ საჯარო მიმართვა-აქციაზე, რომელსაც ხელისუფლება პრეზიდენტ სარკოზის მხარდასაჭერად მართავს.

– ჩვენ მოვუწოდებთ ნაცმოძრაობის მიტინგ-მიტინგ ჩამოსატარებელ პროფესიონალ მკოცნელთა აქტივს, ერთხელ მაინც იყვნენ საკუთარ ხალხთან და ფეხი არ მოადგან თავისუფლების მოედანზე, – აღნიშნა გუგავამ.

ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ფრანგული მხარე გაითვალისწინებს იმ მძიმე ფაქტს, რომელიც ბუშის საქართველოში ჩამოსვლის დროს მოხდა და უფრო ფრთხილი იქნება მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობისას.

– იმედია, საფრანგეთის უსაფრთხოების სამსახურები გაითვალისწინებენ, რომ მათი პრეზიდენტი იმყოფება ნომერ პირველ მსოფლიო პროვოკატორთან, რომელმაც წინა მიტინგზე კინალამ ააფეთქა ბუში. ხოლო შემდგომ მართლა მოაწყო აფეთქებები ამერიკის საელჩოსთან და ლეიბორისტული პარტიის ოფისთან, რომელიც სამწუხაროდ, ტრაგიკულად დამთავრდა და ერთი ადამიანი დაიღუპა, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

ჟურნალისტებთან საუბარში ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა საქართველოს პრეზიდენტს მსოფლიოში პირველი პროვოკატორი უწოდა, რომელიც მზად არის პიარისთვის და ავანტიურისთვის საფრთხეში ჩააგდოს ნებისმიერი ადამიანი.

– გახსოვთ, ალბათ, 2005 წელს ბუშის ვიზიტისას რა სცენაც გაითამაშეს არუთინიანის მონაწილეობით. ასევე გაითვალისწინეთ ისიც, რომ ამჟერად ახლა კოჭოიას, მონაწილეობით აფეთქებები განახორციელეს ამერიკის საელჩოსთან, ლეიბორისტულ პარტიასთან, რომელიც მსხვერპლით დამთავრდა. ასევე დაიდო ოფიციალური დასკვნა, რა ავანტიურა გაათამაშა კაჩინსკისთვან ერთად, როდესაც გავარდა ახალგორის მისადგომებთან და საფრთხის ქვეშ დააყენა პოლონეთის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. აქედან გამომდინარე ადვილი წარმოსადგენია, სააკაშვილმა მერაბიშვილის სპეცსამსახურებთან ერთად, დაგეგმოს ჩვეული პროვოკაცია, რომლის საფუძველზეც შემდგომ მან გაიკეთოს პიარი, – განაცხადა გუგავამ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ განცხადებას ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა აუცილებლად გადაუგზავნის საფრანგეთის საელჩოს. ეს იქნება ლეიბორისტების წინასწარი გაფრთხილება, რათა საქართველოში არ მოხდეს საფრანგეთის პრეზიდენტის სიცოცხლის და ჯანმრთელობის საფრთხის ქვეშ დაყენება

# რესპუბლიკელები თბილისის წყლის წინააღმდეგ

შორენა კოწოწაშვილი

რესპუბლიკელები წყლის კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის,, წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გამოდიან და წყლის კომპანიას მოსახლეობისთვის ფულის გამოძალვაში ამხელს. რესპუბლიკელების თქმით, ამჟამად მათი სამიზნე მცირე მეწარმეები არიან, რომელთა უფლებებიც ფაქტობრივად დაუცველია.

წყლის კომპანიასთან დაკავშირებით მორიგი განცხადება გუშინ დედაქალაქის საქმეთა მდივანმა, თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელმა წევრმა თინა ხიდაშელმა გააკეთა.

– კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი,, აგრძელებს ფულის გამოძალვის კამპანიას. ამჟამად მათი სამიზნე მცირე მეწარმეები არიან, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

როგორც რესპუბლიკური პარტიის წევრმა განმარტა, რესპუბლიკელებს ბევრმა მოქალაქემ და განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა მიმართეს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ თბილისი წყლის მიერ გამრიცხველიანებასთან, წყლის მრიცხველების დამონტაჟებასთან დაკავშირებით.

– თბილისის წყლის კომპანია სრულიად აბსურდული ე.წ. გაფრთხილების საფუძველზე მიუთითებს მცირე მეწარმეებს, რომ გაფრთხილებიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შეასრულონ მითითება. თუმცა თავად მითითება არ ბარდებათ მეწარმეებს და არც მისი დოკუმენტური დასაბუთებული გაფრთხილება არ ხდება, – აღნიშნა ხიდაშელმა და იქვე მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლის მრიცხველები არ შეესაბამება კანონით დადგენილ ნორმებს, მაინც არ ხდება მრიცხველების შემოწმება.

აღსანიშნავია, რომ მრიცხველების თემა საქართველოში ბოლო წლების მანძილზე ძალიან პრობლემატურია. იმის მიუხედავად, რომ თავად მომწოდებელი კომპანიაა ვალდებული ძველი, დაზიანებული მრიცხველის შემთხვევაში, რომლის შეცვლა კომპანიამ ივალდებულა, უზრუნველყოს მრიცხველის გამოცვლა, მაინც მოსახლეობის ხარჯზე ხდება მრიცხველების შეცვლაც და საკმაოდ დიდი ჯარიმების დაკისრებაც.


თინა ხიდაშელი

რესპუბლიკელები მცირე მეწარმეებს მიმართავენ, დაიცვან თავიანთი ინტერესები და მორჩილად ნუ გადაიხდიან ახალი მრიცხველების გადასახადს კომპანიის მხრიდან მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხარჯზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევე როგორც სალარო აპარატების მრავალჯერადი შესყიდვის ვალდებულების შესრულების დაკისრების მოთხოვნამდე მაღალი გადასახადების დაკისრებამ შესაძლებელია კვლავაც მრავალჯერადი ხასიათი მიიღოს.

შედით საიტზე atb.ge

# ოლეგ ბასილაშვილი საქართველოშია

ეკა ირემაშვილი

რუსეთში მოღვაწე ქართველი მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი საქართველოშია. იგი თავის კოლეგებთან ერთად თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში აპირებს მონაწილეობის მიღებას, სადაც საერთაშორისო სპექტაკლების პროგრამაში “ნიუ“ (ახალი) წარმოდგენილი იქნება რეჟისორ თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლი “ბიძიას სიზმარი“. ქართველი რეჟისორი ტოვსტონოგოვის სახელობის თეატრს 2007 წლიდან ხელმძღვანელობს.

სპექტაკლი 8 ოქტომბერს თეატრალური ფესტივალის დახურვის დღეს რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გათამაშდება. წარმოდგენა თემურ ჩხეიძემ თევდორე დოსტოევსკის ნაწარმოების მიხედვით დადგა. სცენური ვერსია იური ლოტინის ეკუთვნის, სცენოგრაფია – ემილ კაპელიუშის, კომპოზიტორი – ალექსანდრე კნაიფელია, მხატვარი-გამნათებელი – ვლადისლავ ვლასოვი, რეჟისორის თანაშემწე კი – ნინა ცინკობუროვა.

ოლეგ ბასილაშვილთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობენ ალისა ფრეინდლიხი, სერგეი გალიჩი, ნიკოლაი გორშკოვი, იულია დეინეგა, ელენა იარემა, მარია ლავროვა, ლენა პოპოვა, კირილ ჟანდაროვი, მარია სანდლერი, ლიუდმილა საპოჟნიკოვა, ეკატერინა სტარატელევა, პოლინა ტოლსტუნი, დიანა შიშლიევა, ევგენი ჩუდაკოვი.

ორმოქმედებიანი წარმოდგენა 190 წუთს გრძელდება.

– პირველად “ბიძიას სიზმარი” 1859 წელს გამოჩნდა ჟურნალში “რუსეთის სიტყვა”. მან დოსტოევსკის დაპატიმრებით გამოწვეული ათწლიანი დუმილი დაარღვია. მკვლევარები ამ ნაწარმოების 1878 წლის სასცენო ვარიანტს “დოსტოევსკის თეატრალური ცხოვრების ნამდვილ ნიმუშად მიიჩნევენ”. დიდებული და, როგორც თავად დოსტოევსკი ამბობს, “თვალშისაცემი უმანკოების” გამო დოსტოევსკის ნაწარმოებები “მალი თეატრის” ფარგლებს გასცდა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. როცა ტოვსტონოგოვის სახელობის დიდმა დრამატულმა თეატრმა გაიხსენა ეს უსამართლოდ მივიწყებული პიესა, ისტორიაში პირველად მოხდა ამ ნაწარმოების დრამატიზირება იმდროინდელი საზოგადოებისა და ნორმების ყოველგვარი გამასხარავების გარეშე. სასცენო ვარიანტის შემქმნელებმა წარმოადგინეს არა



ოლეგ ბასილაშვილი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბერძენი მომღერალი იოვანა თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ლეგენდარული ბერძენი მომღერალი იოვანა თბილისშია. იგი ჩვენს დედაქალაქს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური მოწვევით ესტუმრა. მომღერალი ტელევიზიის 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ მოიწვია.

იოვანას თბილისის აეროპორტში საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა დახვდა. მომღერალი ტელევიზიის ძველ და ახალ თანამშრომლებს შეხვდა, მონაწილეობა მიიღო პირველი არხის გადაცემებში. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ ბერძენი მომღერალი “კალაში“ მიიწვია, ჟურნალმა “მაუწყებელმა“ კი მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.



იოვანა

8 ოქტომბერს იოვანა თბილისობის დღესასწაულში იმიღებს მონაწილეობას. იგი თბილისობისადმი მიძღვნილ გალაკონცერტზე ქართველ მომღერალ ნანი ბრეგვაძესთან ერთად რევაზ ლაღიძის ცნობილ სიმღერას “თბილისო“ შეასრულებს. ბერძენი მომღერალი რუსთაველის თეატრში გამართულ სპექტაკლს “ქეთო და კოტეც“ დაესწრება. უკვე ცნობილია, რომ ბერძენ მომღერალს საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭა.

ბერძენი მომღერალი იოვანა სამშობლოში 9 ოქტომბერს გაემგზავრება.

# „მის საქართველო 2011“-ს ტიტულს ჩამოართმევენ?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„მის საქართველოს“ ირგვლივ გაურკვევლობა ამით არ სრულდება. ჟანეტა მიდის „მის მსოფლიოზე“, მაგრამ გაუგებარია, რომელი ქვეყნის სახელით, რუსეთის თუ საქართველოს, გეგმავს წლევანდელი „მის საქართველო“ ბრიტანეთში ჩასვლას.

ია კიწმარიშვილი ირწმუნებოდა, რომ ჟანეტას ორმაგი – საქართველოს და რუსეთის მოქალაქეობა აქვს, თუმცა სამოქალაქო რეესტრში აცხადებენ, რომ ჟანეტა ქერდიყოშვილმა გასულ წელს რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ავტომატურად შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. ამის მიუხედავად, ცნობილი ხდება, რომ 2011 წლის 15 აგვისტოს ჟანეტა ქერდიყოშვილმა მიმართა სამოქალაქო რეესტრს და მოითხოვა ორმაგი მოქალაქეობა. მისი განაცხადი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ჯერ დაკმაყოფილებული არ არის.

– ჟანეტა ქერდიყოშვილი, დღევანდელი მონაცემებით, რუსეთის მოქალაქეა. მან სამოქალაქო რეესტრს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით მიმართა, თუმცა ამ ეტაპზე საქმე წარმოებაშია, – აცხადებენ სამოქალაქო რეესტრში.

„მის საქართველოს“ რიგით მეცხრე გამარჯვებული, ჟანეტა ქერდიყოშვილი მომავალი ჟურნალისტია. ის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსზე სწავლობს.

„მის საქართველო 2011“ 18 ოქტომბერს ლონდონში უნდა გაემგზავროს, სადაც 7 ნოემბერს „მის მსოფლიო 2011“ უნდა ჩატარდეს. „მის მსოფლიოს“ რეგლამენტით, კონკურსში კონკრეტული ქვეყანა მისმა მოქალაქემ უნდა წარადგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონკურსანტი „მის მსოფლიოზე“ “არ დაიშვება. საქართველოს წარმომადგენელს 120 ქვეყნის წარმომადგენელთან პაექრობა მოუწევს. როგორ გაემგზავრება მის საქართველოს წლევანდელი რჩეული ლონდონში, ჯერჯერობით გაურკვეველია. ამ შემთხვევაში საქართველოს წარდგენა „მის მსოფლიოზე“ პირველ ვიცე მის საქართველო 2011-ს სალომე ხომერიკს მოუწევს.

“იმიჯ-ცენტრში“ ირწმუნებიან, რომ ჟანეტა ქერდიყოშვილის დოკუმენტები, მათ შორის მისი ქართული პასპორტი 4 ოქტომბერს დილით ინგლისის საელჩოში ჩააბარეს, სადაც ლამაზმანის საბუთები უპრობლემოდ დაიტოვეს.

სამოდელო სააგენტო “იმიჯ-ცენტრი“ სილამაზის კონკურისის „მის საქართველო“ უცვლელი ორგანიზატორია. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსი წელს უკვე მეცხრედ ჩატარდა, გამარჯვებულთან დაკავშირებით ეს უკვე მეოთხე სკანდალი აგორდა. „მის საქართველო 2003“-ზე ირინა ონაშვილზე ითქვა, რომ გათხოვილი იყო და მისი სიმაღლე არ შეესაბამებოდა „მის მსოფლიოს“ პარამეტრებს. მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ მას მხოლოდ საქმრო ჰყავდა, სიმაღლით კი კონკურსზე არავის დაუწუნებია. ირინა ონაშვილი მის მსოფლიოზე ტოპ ოცეულში მოხვდა და მის ტალანტადაც აღიარეს.

„მის საქართველო 2007“ ნინო ლიკუჩოვა გათხოვილი და ნასამართლევი იყო, ამიტომ „მის მსოფლიოში“ მონაწილეობა ვერ მიიღო. განათხოვარი აღმოჩნდა ვიცე „მის საქართველო 2007“ ნინო ლეკვეიშვილიც.

იმიჯ ცენტრში არ პასუხობენ კითხვას, დადგება თუ არა ეჭვქვეშ 19 წლის ლამაზმანის გამარჯვება და ჩამოართმევენ თუ არა მას მის საქართველოს ტიტულს. ჟიურის წევრები კი აღნიშნავენ, რომ მათ არ ეხებათ კონკურსანტის მოქალაქეობის დადგენა.

სამოდელო სააგენტო “იმიჯ ცენტრის“ გარშემო ატეხილი ამდენი გაუგებრობის ფონზე, გამორიცხული არ არის, კონკურენტებმა მისთვის მინიჭებული ლიცენზიის საკითხის გადახედვა მოითხოვონ და საქართველოში „მის საქართველოს“ კონკურსის ჩატარება ოფიციალურად აკრძალონ.

სპორტი

# ნბა სავარაუდოდ წელს დაისვენებს

ნიუ იორკში ნბა-ს ხელმძღვანელობისა და მოთამაშეთა პროფკავშირის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი გაიმართა. მხარეებმა ისევ ვერ შეძლეს კომპრომისის გამონახვა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე.

წინასასეზონო მატჩები ოფიციალურად გაუქმებულია – ეს კი იმის მანიშნებელია, რომ 2011-12 წლების სეზონში რეგულარული ჩემპიონატის ჩატარების შანსი ნულის ტოლია.

ბოლო შეხვედრამ ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მას ესწრებოდა ათი კლუბის მფლობელი და რამდენიმე კალათბურთელი, მათ შორის კობი ბრაიანტი, პოლ პირსი და ამარე სტუდემაიერი.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ლიგის კომისარმა დევიდ სტერნმა განაცხადა, მთავარი განსახილველი საკითხი იყო შემოსავლის თანაბრად გაყოფა, მაგრამ მოთამაშეებმა უარი განაცხადეს ამ ვარიანტზე.

– ჩვენ ვერ მივაღწიეთ პროგრესს, რომლის იმედიც ნამდვილად გვქონდა. ამიტომაც მოლაპარაკებების გაგრძელება არ შეგვიძლია. პირადად მე ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ვფიქრობდი, რომ ჩვენ გავაგრძელებდით შეხვედრებს და მოვნახავდით ამ და სხვა საკითხებში საერთო ენას. ვფიქრობ, შემოსავლების თანაბრად გაყოფის ვარიანტს აქვს არსებობის უფლება. ამას შეიძლება ვუწოდოთ პარტნიორობა, – განაცხადა სტერნმა.

ასე რომ, გუნდების საწვრთნელი ბანაკები და წინასასეზონო მატჩები გაუქმებულია. თუ უახლოესი ორშაბათისთვის მხარეები კომპრომისს ვერ მიაღწევენ, გაუქმებულად გამოცხადდება რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირა.

– თუ ორშაბათისთვის ვერ მოვასწრებთ მოლაპარაკებას, რეგულარული ჩემპიონატის პირველ ორ კვირას ოფიციალურად გავაუქმებთ, – დასძინა სტერნმა.

პროფკავშირების თავმჯდომარემ დერეკ ფიშერმა განაცხადა, რომ სეზონის გაუქმების მუქარით კალათბურთელები დათმობაზე არ წავლენ.

– კლუბების მფლობელებს ჰგონიათ, რომ თუ მომავალი სეზონის რამდენიმე მატჩი გაუქმდება, მოთამაშეები მაშინვე დასხდებიან და კოლექტიური ხელშეკრულების ნებისმიერ ვარიანტს დაუჭერენ მხარს. ეს ასე არ არის. კალათბურთელები მზად არიან გამოტოვონ ახალი სეზონი, – ამბობს ფიშერი.

ამ მომენტისთვის ლიგისა და პროფკავშირის გეგმებში არ შედის ახალი მოლაპარაკების გამართვა. ასე რომ, ამ ეტაპისთვის ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი ასეთია – საუკეთესო შემთხვევაში სეზონი დაგვიანებით დაიწყება, როგორც ეს 1998-99 წლებში იყო. თუმცა ამ ეტაპზე ესეც გაურკვეველია.

მ. ჟ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● სააგარაკე მიწის ნაკვეთი სახლის პროექტით. ცალკე პატარა სახლით. 700 კვ.მ. ნაკვ. ნაძვნარში. იქვე მტკვარი. კარგ ადგილზე. ფასი შეთანხმებით. 790-56-48-75.

● 4-ოთახიანი კაპიტალურად გარემონტებული ბინა დიდ დიღომში, 3 მ/რ-ის დასაწყისში. გადიდებული აივნით. ფასი: 73000 $. 555-35-02-11.

## განცხადებები

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# დადიანის ტურნირი სენსაციების გარეშე მიმდინარეობს

დაიწყო დუდუ დადიანის ტრადიციული თასის გათამაშება, რომელშიც 7 გუნდი ჩაება. გარკვეული მიზეზების გამო, ტურნირში არ მონაწილეობს "არმია" და "სოხუმი". დანარჩენი გუნდები კი ამ ტურნირს ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად მიიჩნევენ.

**შსს – დინამო 88:61**

(15:16, 24:13, 27:15, 22:17)

**შსს:** ლაფანაშვილი (7), ნიკოლაძე (2), ლონდარიძე (21ქ,17მ), ლომოური (4), თენიეშვილი (2), ტუჯანი (5), წივწივაძე (6), იმნაძე (5), დვალიშვილი (14), კრეპსი (18), ბოქოლიშვილი (4)

**დინამო:** ი. ლეჟავა (6), სანაძე (17), მარხვაშვილი, კეიდია (8), აბულაძე (5), თვაური (4), მეხრიშვილი (13), როდუმტა (4), სუხიშვილი (4)

"დინამოს" შესახებ ცალკე ვწერდით და ახლა კონკრეტულად არ შევჩერდებით. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ მატჩში არ უთამაშიათ ლაშა გამყრელიძესა და ნიკოლოზ ცქიტიშვილს. ახალშეკრებილმა გუნდმა კი მოძლიერებულ ძალოვნებს დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

მატჩის საბოლოო შედეგი შინაგან საქმეთა იოლ გამარჯვებაზე მიუთითებს, დავით უსტიაშვილის გუნდმა 27 ქულით მოიგო.

დავით თორთლაძის გაწვრთნილმა „დინამომ" მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწია და 1 ქულითაც მოიგო – 16:15. შსს-ს უპირატესობა მეორე ათწუთეულიდან გამოიკვეთა, როცა ძალოვანთა ამერიკელი ლეგიონერი, როგო კრეპსი ამოქმედდა. ამერიკის სტუდენტურ ლიგაში ნათამაშები კრეპსი ძალიან სწრაფი და გამჭრიახი გონების კალათბურთელი ჩანს. მისი მეოხებით შსს-მ პირველი ტაიმის ბოლოს ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა – 39:29.

დიდი შესვენების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, რაც უკვე გუნდური თამაშის დამსახურება გახლდათ. ჩინებულად ირჯებოდა შსს-ს ახალწვეული ილია ლონდარიძე, რომელმაც საბოლოო ჯამში 21 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა. ათქულიან ზღვარს ძალოვანთაგან კრეპსი (18 ქულა) და აკაკი დვალიშვილი (14) ასცდნენ.

დინამოელთაგან 17 ქულით საუკეთესო დუდა 20 წლის სანაძე გახლდათ, ხოლო გიგა მეხრიშვილმა შეხვედრა 13 ქულით დაასრულა.

**თსსუ – რუსთავი 89:76**

(21:22, 17:19, 27:14, 24:21)

**თსსუ:** ბაქრაძე (14), ტომარაძე (21), ჩიკვილაძე (11), კვეტენაძე (9), ყველაშვილი (2), ბექაური (10), პირველაშვილი (12ქ, 10მ), აბაიშვილი (4), ჭოჭუა, შვანგირაძე (5), ფერიაშვილი (1)

**რუსთავი**: მაჭავარიანი (19), გ. არაბული, გ. ბერუაშვილი (2), არწივიძე (10ქ,13პ), თვარაძე, ბააკაშვილი (3), ჩაჩანიძე (8), ჯ. არაბული, ხმელიძე (15), კოპალიანი (12), გუგავა (7)

პირველი ტურის მეორე მატჩში ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა (თსსუ) და რუსთავის გუნდები შეხვდნენ. ორივე კლუბმა სეზონებს შორის პერიოდში დიდი ცვლილებები განიცადა. საბოლოოდ ორივე მათგანი ახალგაზრულ გუნდად ჩამოყალიბდა და მათი შერკინებაც საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

ეს უფრო პირველ ტაიმზე ითქმის, როცა რუსთაველები ტოლს არაფერში უდებდნენ მედიკოსებს და მცირედით, მაგრამ მაინც წინ იყვნენ. ქვემოქართლელებმა პირველი მეოთხედი 22:21 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის კი 3 ქულით დაწინაურდნენ – 41:38. კარგად ირჯებოდა რუსთაველთა უკანახაზელი დავით მაჭავარიანი, რომელსაც მხარს კარგად უბავდა ლევან ხმელიძე, გელა კოპალიანი, დავით არწივიძე.

დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე სულ სხვა თამაში გაჩაღდა, რაც თსსუ–ს გუნდის წევრთა გააზრებული მოქმედების გამო მოხდა. მედიკოსებმა თამაში დაალაგეს, რაც მყარ დაცვასა და სწრაფ კონტრშეტევებში გამოისახა. გამოსარჩევია კოკა ტომარაძის შედეგიანი გარჯა, რომელიც საშუალო მანძილიდან შეუდარებლად ისროდა. საბოლოო ჯამში მან 21 ქულას მოუყარა თავი (10-დან 7 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი). საერთოდ, ათქულიან ზღვარს თსსუ-ს ხუთმა კალათბურთელმა მიაღწია – ბაქრაძემ, ტომარაძემ, ჩიკვილაძემ, პირველაშვილმა და ბექაურმა.

# ლევან ყენია: „მალე დავბრუნდები"

2009 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ლევან ყენიამ რომ ითამაშა, მას შემდეგ საფეხბურთო მოედანს მხოლოდ საყურებლად თუ ეკარებოდა. კოჭის ტრავმამ ახალგაზრდა ფეხბურთელი ძალიან გააწამა. ყენია ჯერ კიდევ რეაბილიტაციის პროცესს გადის და იმედოვნებს, რომ მოედანს დროულად დაუბრუნდება.

გერმანულ მედიასთან ინტერვიუში ქართველი ფეხბურთელი მართლაც იმედიანი ჩანს.

***– დიდი ხანია ლევან ყენია ტრავმის გამო მოედანზე არ გამოჩენილა. ამჟამად როგორ გრძნობთ თავს?***

– ნორმალურად. ვემზადები მოედანზე დასაბრუნებლად და იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე ჩემს თანაგუნდელებს შევუერთდები.

***– ბოლო მატჩი 2009 წლის 25 ოქტომბერს ითამაშეთ. რა ხდებოდა შემდეგ?***

– თითქმის ორი წელია კოჭის ტრავმას ვებრძვი. გასულ ზამთარში ერთხელ უკვე შევუერთდი გუნდს მოსამზადებელპერიოდში, მაგრამ ბელეკში, სადაც შეკრება გვქონდა, ისევ პრობლემები შემექმნა. ძალიან ძლიერი ტკივილები მქონდა. მაშინ ვიმედოვნებდი, რომ ეს ყველაფერი მალე დასრულდებოდა, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა. ოპერაციის გაკეთება მესამედ მომიხდა. ახლა სარეაბილიტაციო კურსს დიუსელდორფში გავდივარ.



ლევან ყენია

***– როგორია თქვენი დღის განრიგი?***

– ყველაფერი 11 საათზე იწყება. პირველ რიგში, ფიზიოთერაპიას გავდივარ, შემდეგ კი სატრენაჟორო დარბაზში ვარ. დღის მეორე ნახევარში მსაჟები მაქვს და ბურთსაც ოდნავ ვეხები. მთლიანი ფიზიკური თუ სხვა ვარჯიშები დღეში 6 საათს გრძელდება.

***– როდის იგეგმება გუნდში დაბრუნება?***

– ჩემი მიზანია გუნდს რაც შეიძლება მალე შევუერთდე, თუმცა ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. იმედი მაქვს, გუნდს სეზონის მეორე ნახევარში მაინც შევუერთდები და წელს რამდენიმე მატჩის ჩატარებასაც მოვასწრებ. ჩემი ბოლო თამაში 2 წლის წინ იყო, ეს კი ძალიან დიდი დროა ფეხბურთელისთვის.

***– ახლა რა კონტაქტი გაქვთ გუნდთან?***

– იმის გამო, რომ სარეაბილიტაციო კურსს დიუსელდორფში გავდივარ, გელზერკირხენში იშვიათად ვარ. თუმცა, თანაგუნდელებთან კონტაქტს არ ვკარგავ. ყველა მათგანთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ისინიც იმედოვნებენ, რომ მოედანს მალე დავუბრუნდები.

***– შალკეს თამაშებს თვალს ადევნებთ?***

– საშინაო მატჩებისას ყოველთვის სტადიონზე ვარ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის არცთუ იოლი გადასატანია. ფეხბურთელისთვის ძალიან მტკივნეულია ტრიბუნებზე ჯდომა და თანაგუნდელებისთვის თვალის დევნება. რაც შეეხება "შალკეს", გუნდი ძალიან კარგად თამაშობს და ეს მიხარია. თუმცა, მინდა ეს ყველაფერი ჩემთან ერთად მოხდეს და დარწმუნებული ვარ, მალე დავბრუნდები!

# ვიქტორ სანიკიძე: „ევროპის ჩემპიონატზე დამაკმაყოფილებლად ვითამაშეთ"

უკვე დიდი ხანია იმაზე მიდის საუბარი, გახდება თუ არა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძის თანაგუნდელი. ეს საკითხი დადებითად თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა ბოლო დღეებში კობი ბრაიანტის ბოლონიურ "ვირტუსში" გადაბარგების საკითხი ბურუსმა მოიცვა.

თუ რა სიტუაციაა ბრაიანტის იტალიაში გადასვლასთან და ვიქტორ სანიკიძის სხვა ამბებთან დაკავშირებით, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– ვიქტორ, "ვირტუსში" უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშე და საკმაოდ დამაჯერებლადაც. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ძალები საბოლოოდ აღიდგინე?***

– მე რომ ევროპის ჩემპიონატზე ვთამაშობდი, "ვირტუსი" შეკრებილი იყო და ახალი სეზონისთვის მზადება დაწყებული ჰქონდა. გუნდს ცოტა დაგვიანებით შევუერთდი და, რასაკვირველია, სხვებზე მეტად გადაღლილი ვიყავი, თუმცა რომ ვთქვა, ამან საგრძნობლად დაატყო კვალი ჩემს ფორმას-თქო, მართალი არ იქნება. დასვენება მოვახერხე და გუნდის რიტმშიც ჩავჯექი. სეზონისწინა ამხანაგურ მატჩებში ცუდად არ მითამაშია და იტალიის ჩემპიონატს ნორმალურ ფორმაში ვხვდები.

***– ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კობი ბრაიანტი თქვენს გუნდში გადმოვიდა.***

– ბრაიანტი ბოლონიაში ჯერ არ გამოჩენილა. როგორც ითქვა, ის აქამდეც უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ რაღაც-რაღაცეების გამო, მისი ჩვენთან ჩამოსვლა არ მოხერხდა.

***– ამის ერთ-ერთი მიზეზი "ვირტუსის" მოთხოვნა იყო კალენდრის ცვლილებასთან დაკავშირებით?***

– ალბათ ასეცაა, თუმცა მე დეტალებში გარკვეული არ ვარ. ისე კი, ვიცი, რომ სწორედ ბრაიანტის გადმოსვლის გამო, ჩვენი გუნდის უფროსობამ სერია ა-ს ხელმძღვანელობას კალენდრის შეცვლის თხოვნით მიმართა. ჩვენებს სურდათ, რომ "ვირტუსს" საწყისი 10 ტურის მატჩები ბოლონიაში გაემართა, რასაც ლიგის სხვა გუნდები არ დაეთანხმნენ. ჩემპიონატი წინასწარ დადგენილი კალენდრით – 9 ოქტომბერს დაიწყება.

***– "ვირტუსთან" შენს კონტრაქტს ვადა არ ამოეწურა?***

– ჩემი კონტრაქტი 2 პლუს 1 წლიანია. ორი სეზონი უკვე ვითამაშე და ახლა დარჩენილი სეზონიც უნდა ჩავატარო. ახალი კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, ამდენად, არაა გამორიცხული, კლუბმა ახალი, გაუმჯობესებული ხელშეკრულება შემომთავაზოს.

***– ბოლოს ნაკრებზე გკითხავ – რამდენად კმაყოფილი ხარ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლით და მომავალზე რას ფიქრობ?***

– ევროპის ჩემპიონატზე რომ მივდიოდით, საკითხი ასე იდგა: გავალთ თუ არა ჯგუფიდან. ჩვენ ეს მოვახერხეთ და შესაბამისად, შედეგიც დამაკმაყოფილებელია. ის, რაც მეორე ეტაპზე მოხდა, კალათბურთის შემადგენელი ნაწილია. ტრავმების გამო დიდი ძალა მოგვაკლდა, თუმცა მეორე ჯგუფური ეტაპის თამაშები მაინც ღირსეულად ჩავატარეთ. წინ მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სლოვენიაში ჩასატარებელი ევროპირველობის საგზური მოვიპოვოთ. მეტოქეების ვინაობას ზამთარში შევიტყობთ და მათთან საბრძოლველად მოვემზადებით.

# არარსებულ კოსმოსს ევროპაში ეპატიჟებიან

ინგლისურმა გაზეთმა "გარდიანმა" საკმაოდ სენსაციური ინფორმაცია მოიპოვა – მოსალოდნელია, რომ ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში უეფა ამერიკული "ნიუ იორკ კოსმოსის" ჩართვას აპირებს.

სადღეისოდ ამ გუნდის სახელი არაფერს ამბობს, მაგრამ ვისაც ფეხბურთის ისტორია ახსოვს, მათთვის "კოსმოსი" ის გუნდია, რომელსაც 70-იან წლებში სახელი გაუთქვეს პელემ, ფრანც ბეკენბაუერმა, იოჰან კრუიფმა და იოჰან ნეესკენსმა.

ევროპაში თამაში საერთოდ ამერიკელი ფუნქციონერების იდეაა. ბოლო წლებია ნხლ-ის კლუბები რეგულარულ ჩემპიონატს ევროპაში იწყებენ, ტრადიციად იქცა ნბა-ს გუნდების ევროპული ტურნეები. უფრო მეტიც, საკალათბურთო ლიგის კომისარს დევიდ სტერნს ევროპული დივიზიონის შექმნის იდეა ამოძრავებს.

თუმცა, სპორტის ამ სახეობებში ამერიკელები სხვა სამყაროს წარმოადგენენ და სურთ მათი უძლეველობის მითები მთელ პლანეტას დაანახონ. სულ სხვა თემაა ფეხბურთი, რადგან სპორტის ეს სახეობა მათთან ისეთი პოპულარული არ არის, როგორც ჰოკეი და კალათბურთი.

აქედან გამომდინარე, ახალი იდეა ამერიკელების არ არის. მეტიც, პირველი კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, მათ დიდად არ მოიწონეს ეს იდეა. პირველ რიგში, ხანგრძლივი გადაფრენების გამო. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იქაური მლს-ის ოთხი კლუბი კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგაზე გამოდის, სადაც არანაკლებ ხანგრძლივი გადაფრენები უწევთ.

თუმცა, ყველაზე მთავარი ის არის, რომ „ნიუ იორკ კოსმოსი", როგორც საფეხბურთო კლუბი, არ არსებობს. კლუბმა 1985 წელს შეწყვიტა არსებობა. თუმცა გასულ ზაფხულს იქ დაბრუნდა პელე, რომელმაც საპატიო პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, შემდეგ კი სპორტული დირექტორის თანამდებობა ჩააბარეს ფრანგული ფეხბურთის ლეგენდას ერიკ კანტონას. იგეგმება გაისად "კოსმოსის" მლს-ის ლიგაში შეყვანა.

ამ ლიგის ბოსები აცხადებენ, რომ 2022 წელს სოკერი სპორტის ერთ-ერთი წამყვანი სახეობა გახდება შტატებში, ამიტომაც ამ ქვეყანაში ევროპული ფეხბურთის რეკლამირებისთვის კარგი ნაბიჯი იქნება იქაური კლუბის ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლა. ახლა, ამ იდეის ხორცშესხმა პლატინიზე, პელესა და კანტონაზე იქნება დამოკიდებული.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-პადოვა | 1:0 |
| ასკოლი-რეჯინა | 1:1 |
| ბრეშა-გუბიო | 2:2 |
| ვერონა-სამპდორია | 1:1 |
| კროტონე-ბარი | 0:1 |
| ლივორნო-ემპოლი | 0:0 |
| ნოჩერინა-იუვე სტაბია | 2:3 |
| სასუოლო-პესკარა | 1:1 |
| ტორინო-გროსეტო | 1:0 |
| ჩიტადელა-მოდენა | 2:0 |

**ინგლისი. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შემროკი-ბოჰემიანსი | 1:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გრემიო-სანტოსი | 1:0 |
| კრუზეირო-სან პაულუ | 3:3 |

**კალათბურთი**

**ევროთასი. საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| პროშტეევი-აკადემიკა | 77:87 |
| ოსტენდე-ნორჩიოპინგი | 70:67 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. პეკინი. ჰალი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-კოლშრაიბერი | 6:2;6:0 |
| ფერერო-გრანოლერსი | 6:4;6:4 |
| ცონგა-ჩჟანი | 6:3;6:4 |
| ჩილიჩი-ფონინი | 6:2;6:7;6:3 |

**ატპ. ტოკიო. ჰალი**

| | |
|---|---|
| შტეპანეკი-ჩიუდინელი | 7;5;6:7;6:1 |
| ტურსუნოვი-ჰირალდო | 4:6;6:7 |
| ფერერი-ებდენი | 4:6;6:2;6:2 |
| ნადალი-რაონიჩი | 7:5;6:3 |
| მიურეი-ბოგომოლოვი | 6:1;6:2 |
| ნალბანდიანი-დოდიგი | 7:6;6:2 |

**ვტა. პეკინი. ჰალი**

| | |
|---|---|
| ნიკულესკუ-რაზანო | 4:6;6:1;6:2 |
| კირილენკო-პაშეკი | 6:1;6;2 |
| რადვანსკა!ა.-არვიდსონი | 6:4;6:2 |
| პენეტა-ციბულკოვა | 6:1;4:6;6:4 |

# შვეიცარიელები საქართველოსთვის ემზადებიან

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მორიგ მატჩს ჩაატარებს შვეიცარიელების წინააღმდეგ. ჩვენი გუნდის თაობაზე ადრეც ვწერდით, ახლა გვინდა რამდენიმე სიტყვით ჩვენ სტუმრებზე გიამბოთ.

შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრები 3 დღეა თბილისშია და ქართველებთან მატჩისთვის აქტიურად ვარჯიშობს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა პიერლუიჯი ტამიმ 20-კაციანი შემადგენლობა ჩამოიყვანა.

**მეკარეები:** რომან ბურკი (გრასჰოპერი), სტივენ დიანა (სიონი), ბენჟამინ სეგრისტი (ასტონ ვილა);

**მცველები**: ფილიპ კოხი, რაფაელ კოხი (ორივე - ციურიხი), ფრანსუა აფოლტერი (იანგ ბოიზი), ფაბიო დაპრელია (ბრეშია, იტალია), როლფ ფელტშერი (პარმა, იტალია), თოლან შაქა (ბაზელი);

**ნახევარმცველები:** მარკო შონბახლერი, იოსიპ დრმიჩი (ორივე - ციურიხი), პაიტიმ კასამი (ფულემი, ინგლისი), ოლივერ ბუფი, მარკო ნასიმ ბენ ხალიფა (ორივე - იანგ ბოიზი), ჰარის სეფეროვიჩი (ქსამაქსი), შტეფან ცუბერი (გრასჰოპერი);

**თავდამსხმელები:** სებასტიან ვიუტრიხი (ქსამაქსი), იანიკ კამბერი (ლოზანა), ნზუზი ტოკო (გრასჰოპერი), ალან ვისი (ლუცერნი);

შეგახსენებთ, შვეიცარიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის წინა ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. ისიც გეხსომებათ, რომ ტამის გუნდი წინა შესარჩევ ციკლშიც ჩვენი მეტოქე იყო. შვეიცარიელებმა იქ 1:0 გვაჯობეს, თბილისში მატჩი უგოლოდ დასრულდა.

აქვე ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობასაც გაგაცნობთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 9-2 | 6 |
| 2.შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 3.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-9 | 3 |
| 4.ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5.ხორვატია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

# ძიუდოს სამყაროში ისევ დაძაბულობაა

მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთადერთი მედლისა და ოლიმპიური ლიცენზიის მომპოვებელი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სალიცენზიო ქულების დაგროვებას საერთაშორისო ტურნირებზე გააგრძელებს. პირველი შეჯიბრება, რომელზეც პეტერ ზაიზენბახერის დამოძღვრილი გუნდი იჭიდავებს, შაბათ-კვირას აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გასამართი მსოფლიოს თასია.

ავსტრიელმა სპეციალისტმა აზერბაიჯანში წასაყვანად ერთობ ექსპერიმენტული შემადგენლობა დაასახელა. ზაიზენბახერის ათეულიდან მინიმუმ ხუთი ისეთი სპორტსმენია, რომლებსაც თავად მწვრთნელი მიმდინარე სეზონში ნაკრების უმთავრეს კანდიდატებს შორის აშკარად არ მოიაზრებდა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში აზერბაიჯანულ ტატამზე უშანგი კუზანაშვილი და პაატა მერებაშვილი გავლენ. 66 კილოგრამში ლევან ჩუბინიძე და გიორგი მკალავიშვილი იჭიდავებენ, 73-ში – თენგიზ პაპოშვილი და ამბაკო ავალიანი, 81-ში – პაატა ლვინიაშვილი და შოთა ჯავახაძე, 100-ში – ლევან ჟორჟოლიანი, ხოლო მძიმე წონაში – ადამ ოქრუაშვილი. 90 კილოგრამში კი, ზაიზენბახერის გადაწყვეტილებით, ქართულ გუნდს მონაწილე არ ეყოლება.

რატომ მიემგზავრება გუნდი ასეთი შემადგენლობით ბაქოში? კულუარული ინფორმაციით, ძიუდოს სამყაროში ბოლო დროს ისევ დაიძაბა სიტუაცია და მოჭიდავეთა ერთი ნაწილი ზაიზენბახერის ძალიან დატვირთული ვარჯიშებით უკმაყოფილიყო იყო და რამდენიმე ვარჯიში გააცდინა კიდეც. სწორედ ამის გამო ავსტრიელმა სპეციალისტმა "ბუნტოვშიკები" ნაკრებს მიღმა დატოვა და ახლა ექსპერიმენტული შემადგენლობით შეეცდება ლიცენზიების მოგროვებას.

საინტერესო ის არის, არის თუ არა ახლა ექსპერიმენტების დრო და რამდენად მოახერხებს ეს შემადგენლობა ლიცენზიების მოპოვებას.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# თბილისობა წელს 8-9 ოქტომბერს გაიმართება

ეკა ირემაშვილი

ყოველწლიური საშემოდგომო დღესასწაული თბილისობა წელს 7, 8 და 9 ოქტომბერს აღინიშნება. ტრადიციულად ეს დღესასწაული ოქტომბრის ბოლოს ტარდება ხოლმე, თუმცა წელს მთელი რიგი ღონისძიებების გადმოწევა მეტეოროლოგიურმა პირობებმა განაპირობა. როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, ოქტომბრის ბოლოს წვიმებია მოსალოდნელი, რაც მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებას საფრთხის ქვეშ დააყენებდა.

"თბილისობა" პირველად 1979 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში პაუზის შემდეგ დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის საყვარელი დღესასწაული კვლავ განახლდა 1995 წელს და მას შემდეგ ყოველწლიურ ტრადიციად იქცა.

"თბილისობის" წლევანდელი ღონისძიებებიც, ტრადიციულად დატვირთულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით, სპორტული შეჯიბრებებით, ქართული და ეთნიკური უმცირესობების ხალხური შემოქმედების კონცერტებითა და გამოფენა-გაყიდვებით.

ღონისძიებების ეპიცენტრია ძველი თბილისი – დედაქალაქის ისტორიული ნაწილი. ამავე დღეს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს ენიჭებათ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

– ღვინობისთვის უკანასკნელ შაბათ-კვირას დედაქალაქში წარსულისა და აწმყოს შეხვედრა ხდება და ძველი თბილისი ცოცხლდება. ისტორიულ უბნებში კვლავ შეხვდებით ყარაჩოღელებს, კინტოებსა და მეთულუხჩეებს. ახლად დაარსებული თბილისობის აღნიშვნა რესტავრირებულ უბნებში განხორციელდა და კოსტუმირებული კარნავალის სახე მიიღო: თბილისური სახლების აივნებიდან, როგორც ოდესღაც, ახლაც ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი თავადები და ქართულ კაბებში გამოწყობილი კავებიანი ,,კნეინები" გადმოჰყურებდნენ მტკვარზე მოცურავე ტივებს. დღესაც, თბილისობის დადგომასთან ერთად, ქუჩებში კვლავ ჩნდებიან ფაეტონები, შორიდან ნიავს მოაქვს არღნის სევდიანი ჰანგები და აშულთა სიმღერები-ქალაქი დროში მოგზაურობას იწყებს, შუა საუკუნეების მკვიდრნი ბრუნდებიან თითქოს. თუმცა თბილისობის აღნიშვნაში არა მარტო ადგილობრივი, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობა მონაწილეობს. ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ, თბილისობის ღონისძიებებში მაქსიმალურად მეტი ხელოვანი ჩავრთოთ და თბილისობის დღეები მაქსიმალურად დატვირთული იყოს სხვადასხვა ღონისძიებებით, – განაცხადა მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა ნეკა სებისკვერაძემ.

მრავალსაუკუნოვანი ქალაქის დღეობის აღნიშვნა თავისთავად გულისხმობს უძველეს ტრადიციებთან თანაზიარობას. პირველივე თბილისობისას ერთ-ერთ საინტერესო სანახაობას ყეენობის გამოძახილი – აღორძინებული ხალხური თამაშობანი – კოჭაობა, ჯირითი, რიქთაფელა წარმოადგენდა. ძველ თბილისში ჭიდაობის საასპარეზო ალაგად დიდუბე ითვლებოდა და დღესაც აკაკის ბაღი ფალავანთა შეხვედრის ადგილია.

უკვე მერამდენე წელია თბილისობის დადგომასთან ერთად იგეგმება უამრავი კულტურული და სპორტული ღონისძიება, რომლებიც სცდებიან საგამოფენო დარბაზებს, სცენებსა თუ სპორტულ მოედნებს და ქუჩებში გადმოინაცვლებენ. დღესასწაული ყოველთვის სანახაობრივად დატვირთული და მრავალფეროვანია. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს ენიჭებათ საპატიო მოქალაქის წოდება, რაც არანაკლებ საზეიმო ვითარებაში ხორციელდება.

– მიუხედავად იმისა, რომ თბილისობა ჯერ სამ ათეულ წელიწადს ითვლის, იგი უკვე ურყევ ტრადიციადაა ქცეული. დედაქალაქის მკვიდრთათვის და მისი სტუმრებისთვის თბილისი ორიოდე დღით გარდაიქმნება – კალაში თუ ისანში, მეტეხის ძირში თუ დარეჯნისეული სასახლის აივნების ქვეშ აზია და ევროპა ერთმანეთს კვლავ ხვდება, როგორც ოდესღაც, გვიან შუა საუკუნეებში და თბილისსაც მხოლოდ მისთვის ჩვეული კოლორიტი და ხიბლი უბრუნდება. წელს ჩვენ დავუშვით გამონაკლისი და ორდღიანი თბილისობა სამდღიანად ვაქციეთ. სწორედ ამიტომ "თბილისობის" დღესასწაულთან დაკავშირებით, მხოლოდ თბილისში 7 ოქტომბერი უქმე დღედ გამოცხადდა, ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ ეს დღესასწაული წელს სამდღიანია. თბილისის მერიამ უკვე მიმართა ოფიციალური თხოვნით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომ 2011 წლის 7 ოქტომბერი, "თბილისობის" დღესასწაულთან დაკავშირებით, მხოლოდ თბილისში გამოცხადდეს უქმე დღედ. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მერიის მოთხოვნა დააკმაყოფილა, – აღნიშნა ნეკა სებისკვერაძემ.

წლევანდელი თბილისობის დღესასწაული 7 ოქტომპბერს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ალტერვიჟენ ნიუქომერსის კონცერტით გაიხსნება. მომდევნო დღეებში კი თბილისის ძველ უბნებში სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართება. ორთაჭალის ხეივანში კვების ობიექტების გამოფენა მოეწყობა, გალერეა "გვირაბში" წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო სამხატვრო პლენერზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა, მეიდანში, გორგასლის მოედანზე ჩატარდება ქართული პოპ მუსიკის კონცერტი, აქვე დაიდგმება საწნახელი, სადაც ყურძენი საზეიმო ვითარებაში დაიწურება. ბამბისა და რკინის რიგებში და შარდენის ქუჩაზე ხილის ფესტივალი ჩატარდება. ტრადიციული ავტოშოუ კი ამჯერად მეტეხის ხიდზე გაიმართება. აბანოთუბანში ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ხალხური რეწვის გამოფენა-გაყიდვაა დაგეგმილი. მტკვარზე მოეწყობა გასეირნება ტივით, მუსიკალური პროგრამის თანხლებით, რიყის ამფითეატრში შედგება ღონისძიება ერთი დღე ახალგაზრდა პოეტებთან და მხატვრებთან, ევროპის მოედანზე ?კი ქართული საბრძოლო ხელოვნების წარმოდგენა "შავფაროსნები" გაიმართება. მშვიდობის ხიდზე ფოტოხელოვანი ირმა შარიქაძე წარმოადგენს პროექტს ,,ცის თაღი გვირგვინად", მუშტაიდის პარკში კი ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 სახელოვნებო სკოლის სასულე ორკესტრის კონცერტი ჩატარდება. მეიდანში, გორგასლის მოედანზე ქართული მუსიკალური ჯგუფების ლაივ კონცერტი გაიმართება, სიმონ ჯანაშიას



თბილისობა

სახელობის საქართველოს მუზეუმის შიდა ეზოში კი ლიტერატურულ კონკურს "გალას" გამარჯვებულებს დააჯილდოვებენ. აბანოთუბანი ფოტოგამოფენას "გიგო გაბაშვილი როგორც ფოტოხელოვანი" უმასპინძლებს, დიდ საკონცერტო დარბაზში 11 წლიანი პაუზის შემდეგ ლელა წურწუმია იმღერებს, ევროპის მოედანზე კი საზეიმო გალაკონცერტი გაიმართება.

თბილისობის ბოლო დასკვნით დღეს, 9 ოქტომბერს ტრადიციული ღონისძიებების გარდა, თბილისელებისა და ქალაქის სტუმრებისთვის წარმოდგენილი იქნება ზაალ სულაკაურის ხატვის გაკვეთილები, რომელიც აბანოთუბანში ჩატარდება, ასევე ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ხალხური რეწვის გამოფენა-გაყიდვა. ევროპის მოედანზე შედგება ევროპის საბჭოს მიერ თბილისისთვის მონიჭებული საპატიო დროშის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი, "მხიარული სტარტების" შეჯიბრი მიუსაფარი ბავშვებისათვის. რეტრობენდის კონცერტსა და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლ "თელას" კონცერტს გორგასლის მოედანი უმასპინძლებს. რუსთაველის თეატრის სამეჯლისო დარბაზში კი საპატიო თბილისელების დაჯილდოება, ფოტოგამოფენა "თბილისის სადარბაზოები" და დიპლომატიური კორპუსის მიღება გაიმართება მერის მასპინძლობით. სიონის სკვერში

ჯგუფის ,,ელ სექშენის" კონცერტი ჩატარდება. თბილისობის დღესასწაულს კი ორი უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენა დააგვირგვინებს – მიუზიკლ "ქეთო და კოტეს" თბილისური პრემიერა რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე და ანსამბლ "ერისიონის" საიუბილეო კონცერტი დიდ საკონცერტო დარბაზში.

– ჩვენი წლევანდელი სადღესასწაულო პროგრამა მაქსიმალურად დატვირთულია და თბილისის მერია დედაქალაქის დღესასწაულის სტუმრებს მრავალფეროვან სანახაობას ჰპირდება, – აღნიშნა ნეკა სებისკვერაძემ.

# „ქეთო და კოტე" თბილისში ჩამოაქვთ

ეკა ირემაშვილი

ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ დავით დოიაშვილის მიერ დადგმული მიუზიკლი "ქეთო და კოტე" თბილისში ჩამოაქვთ. ამ წარმოდგენის ბათუმში დადგმის შემდეგ დედაქალაქში დიდი ინტერესი გაჩნდა, როდის შეძლებდა თბილისელი საზოგადოება მის ნახვას. როგორც სპექტაკლის მუსიკალური პროდიუსერი მარინა ბერიძე განმარტავდა, მიუზიკლის თბილისში ჩამოტანას დოის გარეშე ვერ წყვეტდნენ. რეჟისორის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს ყველაფერი ცნობილი გახდა. სპექტაკლის ნახვა ნებისმიერ მსურველს 9 ოქტომბრიდან რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე შეეძლება.

ამ სპექტაკლში გამოჩენით სოფო ნიჟარაძე გაფანტავს ჭორებს იმასთან დაკავშირებით, რომ მომღერალი ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში "ფეისბუქი" სოფოს ფანგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სოფო ნიჟარაძე ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. ერთ-ერთმა მომხმარებელმა ავარიის "ამსახველი" ფოტომასალაც ატვირთა. სოფოს ფანები ამ ინფორმაციამ შოკში ჩააგდო. ფეისბუქის მომხმარებელთა უმრავლესობამ ეს ინფორმაცია დაიჯერა. ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა სოფო ნიჟარაძის გლოვა, მის ფანგვერდზე მომღერლის განცხადება რომ არ გამოჩენილიყო.

"გადავხედე გვერდზე დაწერილ გამოხმაურებას, ცოტა ვიცინე, ცოტა გავერთე, ზოგს ხუმრობითაც კი ვუპასუხე, მაგრამ ამ ყველაფრის ფონზე დავრწმუნდი, რომ მე მაწუხებს ჩვენი ახალგაზრდების ბედი! ეს რა დღეში არიან, ან არ სწავლობენ, ან არ კითხულობენ, ან საქმე არ აქვთ? რითი არიან დაკავებულნი? სხვისი ცხოვრების არევით, ჭორებით, ახლა კიდევ სიკვდილის გამოგონებით! ვინ იქნება ასეთი ადამიანი მომავალში? რამე დადგება მისგან? ექნება მას ნორმალური სამსახური ან ხელფასი, რომელსაც ასე ნატრულობენ? როგორ უნდა მიაღწიოს ასეთი ფსიქიკის ადამიანმა წარმატებას ცხოვრებაში, როდესაც სხვისი შრომის დანახვა და დაფასება არ შეუძლია და მის გარკვეულ წარმატებას ფიქრობს, თუ რა გამართლება მოუგონოს! ვწუხვარ, სერიოზულად ვწუხვარ!" ამ განცხადების გამოჩენისთანავე, სოფოს ავარიაში გარდაცვალების ავტორებმა საკუთარი პოსტები წაშალეს და მის ფანგვერდზე მხოლოდ მომღერლის მიერ გაკეთებული განცხადება დარჩა.

დავით დოიაშვილის დადგმა "ქეთო და კოტე" რუსთაველის თეატრში 10-დან 14 ოქტომბრის ჩათვლით იქნება წარმოდგენილი. ორმოქმედებიანი მიუზიკლი ვიქტორ დოლიძის ოპერის მიხედვით დაიდგა. მასში არჩილ კერესელიძისა და შალვა თაქთაქიშვილის მუსიკალური თემებია გამოყენებული. ორიგინალური საორკესტრო ვერსიების ავტორი და დამდგმელი დირიჟორი ნიკა მემანიშვილია. მუსიკალური პროდიუსერი – მარინა ბერიძე, ხოლო პროდიუსერი თბილისის მერის მეუღლე – ლელა კილაძე.

გახმაურებულ დადგმაში ქეთოს როლს მომღერალი სოფო ნიჟარაძე ასრულებს, ხოლო კოტეს როლს – ნიკო ბერიძე და მირზა მოდებაძე. მიუზიკლში ასევე მონაწილეობენ ქართული კულტურული სამყაროს ვარსკვლავები – ნანი ბრეგვაძე, ლადო ათანელი, პაატა ბურჭულაძე, ნინო ანანიაშვილი, ეკა კახიანი, მიხეილ ქირია, ლაურა რეხვიაშვილი, სტეფანე მღებრიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, ნინო ქათამაძე და გოგა გველესიანი. დავით დოიაშვილის დადგმაში მსახიობების გარდა, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, აჭარის სახელმწიფო კაპელა, კოტე ფურცელაძის "ცეკვის თეატრი", ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის აკადემიური დასი და ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასის სოლისტებიც არიან ჩართული. მიუზიკლში თამარ კვესიტაძის კოსტიუმებია გამოყენებული. "ქეთო და კოტეს" დამდგმელი ქორეოგრაფები კი ილიკო სუხიშვილი და კონსტანტინე ფურცელაძე არიან. მიუზიკლის პრემიერა ბათუმში განახლებულ მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში 15 აგვისტოს გაიმართა. შემოქმედებითმა ჯგუფმა ეს დადგმა მონაკოს პრინცის ალბერ მეორესთვისაც სპეციალურად გაითამაშა.

# ოლეგ ბასილაშვილი საქართველოშია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მარტო ვოდევილი ხანშიშესულ კაცზე, რომელსაც ახალგაზრდა ლამაზმანი მოჰყავს ცოლად, არამედ გვიჩვენეს თითოეული გმირის დრამატული ცხოვრებაც. პროვინციული ქალაქის – მორდასოვის მცხოვრებლების კომიკური ამბავი დრამატულად სრულდება და მაყურებლებს კიდევ ერთხელ ახსენებს, თუ როგორი ხანმოკლე და მოუხელთებელია ამქვეყნიური ბედნიერება.... რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ხშირად ერთ ნაღვლიან სიზმარს ჰგავს, რომელიც ვერასოდეს იქცევა რეალობად და მუდამ ზმანებად დარჩება, როგორც თავად ცხოვრება.... – აცხადებენ სპექტაკლის შემქმნელები.

თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მიღების პარალელურად, ოლეგ ბასილაშვილს საქართველოში გადაღებებიც აქვს დაგეგმილი. იგი მონაწილეობს რეზო გიგინეიშვილის ახალ ფილმში, სადაც რუს მსახიობებთან ერთად, ქართველი მსახიობებიც არიან დაკავებული. რეჟისორმა გასულ დღეებში ოლეგ ბასილაშვილთან ერთად ქართველი მსახიობი გუჯა ბურდულიც გადაიღო.

– უნდა გამოვიყენო ყველა აქაური რესურსი. ფილმში სათამაშოდ მოწვეული არიან ნიჭიერი მსახიობები. ძალიან მინდა, აქაური არაჩვეულებრივი ენერგეტიკა იგრძნობოდეს ფილმში. ბოლოს და ბოლოს, მე ქართველი ვარ და ამ კურთხეული მიწის შვილი, – აცხადებს რეზო გიგინეიშვილი.

ფილმის გადაღებები გაზაფხულზე დაიწყო. მისი ორგანიზება "ექსპერიმენტულმა სტუდიამ" უზრუნველყო. რეზო გიგინეიშვილის ფილმში ბუბუა კიკაბიძე და ნანი ბრეგვაძე მონაწილეობენ. "სიყვარული აქცენტით" – ასე ჰქვია ფილმს, სადაც ნანი ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძე ქორწინდებიან. ნოველის სიუჟეტი ასეთია: ახალგაზრდები (ნიკიტა ეფრემოვი, მიშა მესხი და თინათინ დალაქიშვილი) ქუჩაში შენიშნავენ სიმპათიურ ხანდაზმულ წყვილს, რომლებიც რესტორანში ოქროს ქორწილის გადასახდელად მიდიან. სწორედ ამ წყვილს განასახიერებენ ცნობილი ქართველი მომღერლები – ბუბა და ნანი. მთლიანობაში ფილმი 7 კომედიური ნოველისგან შედგება და ძველ, კეთილ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ეხება.

საქართველოში ახალი ფილმის გადაღების დაწყებამდე, რეზო გიგინეიშვილმა ქართულ საზოგადოებას თავისი პირველი ნამუშევარიც წარუდგინა. ფილმი სახელწოდებით "მამაკაცების გარეშე" ქართველი რეჟისორის კინო-დებიუტია. მასში რეჟისორის მეუღლე, ნადია მიხალკოვაც თამაშობს, რომელიც ნიკიტა მიხალკოვის ქალიშვილია. ფილმისთვის მუსიკა ქართველმა კომპოზიტორმა დავით ევგენიძემ დაწერა. აქამდე რეზო გიგინეიშვილი მხოლოდ კლიპებს იღებდა.

რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი რეზო გიგინეიშვილი საქართველოდან ოქტომბრის შუა რიცხვებში გაემგზავრება და მთელ გადაღებულ მასალას მოსკოვში წაიღებს, რათა საბოლოოდ დაამუშაოს და სრულყოფილი ფილმის სახე მისცეს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. თავდავიწყებამდე მისული უკიდურესი აღფრთოვანება, აღტყინება, 2. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 3. ნიდერლანდების დედოფალი; 4. ესპანეთის ნაკრებისა და "ჩელსის" ფეხბურთელი; 5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი: 7. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 11. რაიონული ცენტრი სვანეთში; 13. გულში ნადები ბოღმა; 15. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 16. ინგლისში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 18. ორსართულიანი ლაზური სახლი; 19. ქართველი სუმოისტი.

**თარაზულად**: 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. მონასტერი სტეფანწმინდაში; 9. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. ნისლი, ბურუსი; 14. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 17. ჩეხური წარმოშობის ავსტრიელი მევიოლინე, მაღალხარისხოვანი ბროლის დამზადების ოსტატი; 20. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 21. ქართული რადიო; 22. დიდი ფორმატის ლიტერატურული ნაწარმოები; 23. სახელმწიფო შუა-აზიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რობაია; 2. ტერცია; 3. ბერგმანი; 4. "ვიტესი"; 6. მალიორკა; 8. ანდები; 11. კამერუნი; 12. მოლიერი; 16. გონიო; 17. ღაწვი; 18. ტორტი.

**თარაზულად:** 1. როიტერი; 5. მოწმე; 7. თერაპია; 9. ავიცენა; 10. დეპორტი; 13. ბოლნისი; 14. "დარიკო"; 15. რომი; 19. "ჰილტონი"; 20. სავოიარი; 21. პორტვეინი; 22. ლიმანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. არკადია; 2. "ბუზუკა"; 3. ლანდშაფტი; 4. ჯოყოლა; 5. ბილბორდი; 7. მესი: 11. ლუტეცია; 12. ენოთეკა; 13. თეორემა; 15. შპრეე; 16. მონჟი; 18. იონჯა; 19. ბრიჯი.

**თარაზულად:** 6. რეიმსი; 8. წახნაგი; 9. მაყვალი; 10. დარიალი; 12. ჰალვა; 14. რაპირა; 17. ტროპიკები; 20. მოციონი; 21. ჭედილა; 22. ჯორჯია; 23. ჩინეჩიტა.

# ავღანეთში ჰამიდ ქარზაის წინააღმდეგ შეთქმულება გამოააშკარავეს

ავღანეთის დაზვერვის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დააკავეს ექვსი ადამიანი, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტ ჰამიდ ქარზაიზე თავდასხმას გეგმავდნენ.

ოფიციალური პირების განცხადებით, დაკავებულებმა ავღანეთის ლიდერის დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი გადაიბირეს.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ავღანეთში პოლიტიკური ელიტის რამდენიმე წარმომადგენელი მოკლეს.

ავღანეთის უშიშროების ეროვნული სამმართველოს პრესმდივანმა ლუტფულა მაშალმა განაცხადა, რომ სახიფათო ადამიანების, მათ შორის სტუდენტებისა და მასწავლებლების ჯგუფი პრეზიდენტ ქარზაიზე თავდასხმას ამზადებდა.

მაშალის თქმით, დაკავებულებს კავშირი ჰქონდათ ალ კაიდას და პაკისტანის დასავლეთით, ვაზირისტანის პროვინციაში ბაზირებულ ჰაკანის დაჯგუფების წევრებთან.



ექვმიტანილები ერთი კვირის წინ დააკავეს. ოფიციალური პირების თქმით, ეჭმიტანილებმა მომზადება გასულ თვეში გაიარეს.

ავღანეთის მთავრობის წარმომადგენლების თქმით, უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები შეთქმულთა ჯგუფის სხვა წევრებს ეძებენ.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ჯგუფმა საზღვარგარეთიდან 150 ათასი დოლარი თანხა მიიღო. მათ აგრეთვე ჩამოართვეს პორტატული კომპიუტერები თავდასხმის სავარაუდო ადგილების სქემებით.

ქარზაი ხელისუფლების სათავეში 2002 წელს მოვიდა და მას შემდეგ მის მოკვლას სამჯერ მაინც შეეცადნენ.

გასულ თვეში ავღანეთში თვითმკვლელის მიერ ორგანიზებული აფეთქების შედეგად დაიღუპა ყოფილი პრეზიდენტი ბურჰანუდინ რაბანი, ქარზაის სპეციალური წარმომადგენელი თალიბანთან მოლაპარაკების საკითხებში.

ავღანეთის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ რაბანის მკვლელი პაკისტანელი იყო და ისლამაბადი გამოძიებისაგან თავის არიდებაში დაადანაშაულეს.

პაკისტანმა ეს ბრალდებები უარყო.

ივლისში საკუთარ სახლში მისივე დაცვის წევრმა ქარზაის ნახევარძმა, აჰმად ვალი ქარზაი მოკლა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სტივ ჯობსი გარდაიცვალა

ამერიკულმა კომპანია "ეფლმა" კომპანიის დამაარსებლის, სტივ ჯობსის გარდაცვალების ინფორმაცია გაავრცელა.



სტივ ჯობსი

კომპანიის მოკლე განცხადებაში ნათქვამია, რომ ჯობსი ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს გარდაიცვალა, 56 წლის ასაკში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იგი კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოთი იყო ავად.

მედიკოსებმა მისი გარდაცვალების სამი შესაძლო მიზეზი დაასახელეს. ეს შეიძლება ყოფილიყო კიბო, გარდა ამისა, შესაძლოა ჯობსს გადანერგილმა ღვიძლმა უმტყუნა, გარდა ამისა, მისი გარდაცვალება იმუნოდეპრესანტების გვერდითი მოქმედების შედეგი შეიძლება ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, ასეთია იმ მედიკოსების ვარაუდი, რომლებიც მის მკურნალობაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ. თავად ჯობსი და მისი გარემოცვის წევრები დაავადების შესახებ არაფერს ამბობდნენ.

ადამიანი, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანის ცხოვრება შეცვალა, საკუთარი, პირადი ცხოვრების შესახებ კრინტს არ ძრავდა და თავისი ოჯახის წევრებს ცნობისმოყვარე თვალისაგან საგულდაგულოდ იცავდა.

შვიდი წლის განმავლობაში იგი კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ იბრძოდა. ჯერ კიდევ გაზაფხულზე ექიმები იმედოვნებდნენ, რომ დაავადება უკან დაიხევდა, თუმცა ზოგი მედიკოსის თქმით, ორი წლის წინ ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია თავისთავად ცუდ ნიშანს წარმოადგენდა და მიანიშნებდა, რომ დაავადება უკანდახევის ნაცვლად პროგრესირებდა.

თავად სტივ ჯობსმა 2004 წელს განაცხადა, რომ მას ნეიროენდოკრინული სიმსივნის მცირე წარმონაქმნი ამოკვეთეს, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვლის მსუბუქ და განკურნებად სახესხვაობას წარმოადგენს.

კუჭქვეშა ჯირკვლის უფრო სახიფათო და უფრო გავრცელებულმა ფორმამ ორი წლის წინ მსახიობ პატრიკ სუეიზის სიცოცხლე შეიწირა. რეციდივების გარეშე სტივ ჯობსის დაავადების ანალოგიური სიმსივნის მქონე პაციენტები 20-30 წელს ცოცხლობენ, ხოლო რეციდივის შემთხვევაში სიცოცხლის ხანგრძლივობა 7-8 წელს შეადგენს. ჯობსის შემთხვევაშიც ასე მოხდა.

სტივ ჯობსს დღეს იხენებენ არა მარტო როგორც წარმატებულ ბიზნესმენს, არამედ როგორც მეგობარსა და სულიერ მოძღვარს. უკურნებელი სენით დაავადების შესახებ რომ შეიტყო, ცხოვრებისადმი მისი დამოკუდებულება მკვეთრად შეიცვალა, მიუხედავად ამისა, მან ხმამაღლა განაცხადა: 'გული არ უნდა დაგწყდეს, სიცოცხლეს რომ ტოვებ, სიცოცხლემ თუ მიგატოვა, აი ეს არის ცუდი"

სიმსივნის დიაგნოზის დასმის შემდეგ გატარებული წლები მან სიკვდილის შესახებ მუდმივ ფირქში გაატარა, თუმცა, მას იგი ცხოვრებისა და საქმიანობის საუკეთესო სტიმულს უწოდებდა.

2005 წელს იგი სიკვდილის შესახებ ბევრს მსჯელობდა, როდესაც სტენფორდის უნივერსიტეტში სტუდენტებს მოძღვრავდა. სტივ ჯობსის გამოსვლები დღეისათვის მისი 'სულიერი ანდერძის" სახით არის ცნობილი.

„სიკვდილი სიცოცხლის საუკეთესო გამოგონება. იგი ცვლილებების მიზეზია, იგი ძველს ცვლის და ახალს უხსნის გზას" – ასე განაცხადა სტივ ჯობსმა სტენფორდის უნივერსიტეტში ექვსი წლის წინ – ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვიქნები თუ არა სასაფლაოზე ყველაზე მდიდარი ადამიანი. ძილის წინ შეგრძნება იმისა, რომ დღის განმავლობაში რაღაც შესანიშნავი საქმე გააკეთე, – აი, რა მაღელვებს!"

„სხვის აზრს საკუთარი შინაგანი ხმის ჩახშობის შესაძლებლობას ნუ მისცემთ – გეყოთ სიმამაცე და საკუთარ გულისთქმასა და ინტუიციას მიჰყევით. მათ რაღაცნაირად იციან, თუ რა გინდათ რომ გახდეთ მომავალში, სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია", – ამბობდა იგი.

„გაცნობიერება იმისა, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოვკვდე, მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც ცხოვრებისეულ არჩევანში მეხმარება, – უთხრა ჯობსმა მაშინ სტუდენტებს, – ამიტომ ამქვეყნად ყველაფერი, პასიური ლოდინი, სიამაყე, შიში, წყენა და წარუმატებლობა, სიკვდილის წინაშე ყველაფერი უკან იხევს და მხოლოდ მართლაც მნიშვნელოვანი რჩება."

ელიტური უნივერსიტეტის კედლებში ამ გამოსვლაში საკუთარი კომპანიის რევოლუციური პროდუქციის გარდა, სხვა საკითხებზე საუბრის უფლება სტივ ჯობსმა საკუთარ თავს მხოლოდ ერთხელ მისცა. როგორც მისი მეგობრები ამბობენ, იგი არასდროს ყოფილა 'მედიაპერსონაჟი" საკუთარი თავის შესახებ ლაპარაკს გაურბოდა და მხოლოდ 'სამუშაო ინტერვიუებს" იძლეოდა.

იგი მეტად ფაქიზად ეპყრობოდა თავის მეუღლეს, შვილებს, მეგობრებს, მაგრამ პირადი ცხოვრების დეტალებს ახლო მეგობრებსაც კი არ ანდობდა. მიუხედავად ამისა, მისი პიროვნება ყოველთვის საზოგადოების ინტერესის ცენტრში იმყოფებოდა.

სწორედ ამიტომ ტელეკომპანია 'ეიბისი ნიუსმა" მის პირად ცხოვრებას ფარდა ოდნავ და ძალიან კორექტულად მოაშორა.

სტივ ჯობსმა და მისმა მეუღლემ ლორინ პაუელმა 1991 წელს იქორწინეს, კალიფორნიაში იოსემიტის ეროვნულ პარკში. ქორწინება ძალიან მოკრძალებული იყო, წყვილი სან ხოსესა და სან ფრანცისკოს შორის, პატარა ქალაქ ვუდსაიდში ცხოვრობდა. მათ სამი შვილი ჰყავთ, ვაჟი რიდ პოლი და ორი ქალიშვილი, ერინ სიენა და ევა.

სტივ ჯობსს კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავს, ლიზა ბრენან ჯობსი, რომელიც მას 1978 წელს ქორწინების გარეშე, 23 წლის ასაკში შეეძინა. ბავშვის დედაა ჯობსის მეგობარი, უნივერსიტეტში სწავლის დროს კრის ენ ბრენანი.

ჟურნალ 'ფორჩიუნის" თქმით, დიდი ხნის განმავლობაში სტივ ჯობსი ბავშვის შვილად აღიარებაზე უარს ამბობდა. ჯობსმა ლიზა შვილად მოგვიანებით აღიარა.

თავად სტივ ჯობსი, როგორც ცნობილია, პოლ და კლარა ჯობსების მიერ იყო ნაშვილები. სწორედ მათ დაარქვეს მას სახელად სტივენ პოლი. სტივ ჯობსის ბიოლოგიური მშობლები იყვნენ წარმოშობით სირიელი აბდულფათაჰ ჯანდალი და ამერიკელი ჯოან სიმპსონი, ქალიშვილობაში შიბლე. მოგვიანებით მათ იქორწინეს და კიდევ ერთი შვილი, სტივ ჯობსის ღვიძლი და, ამჟამად მწერალი მონა სიმპსონი შეეძინათ.

და-ძმა ერთმანეთს უკვე მოზრდილობაში შეხვდნენ, დის არსებობის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც ნამდვილი მშობლების ძებნას შეუდგა. მოგვიანებით მონამ ჯობსისა და მისი მშობლების ურთიერთობის შესახებ წიგნი დაწერა სახელწოდებით 'ჩვეულებრივი ყმაწვილი".

ცოტა ხნის წინ სტივ ჯობსის პირადი ცხოვრების კიდევ რამდენიმე დეტალი გამოვლინდა. ცნობილი გახდა ჯობსისა და ამერიკელი ფოლკ მომღერლის, მემარცხენე პოლიტიკური აქტივისტის, ჯოან ბაესის ურთიერთობის შესახებ, ჯერ კიდევ პორტლენდის რიდ კოლეჯში სწავლის დროს. სტივ ჯობსის რომანის შესახებ მის ბიოგრაფ ალან დოიჩმანს ინფორმაცია თანაკურსელმა ელიზაბეთ ჰოლმსმა მიაწოდა. ჰოლმსის თქმით, მომღერალთან რომანისთვის სტივ ჯობსმა თავი დაანება გოგონას, ვისთანაც მეტად სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა.

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 7 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** არენა **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი **"პოლკოვნიკი რედლი"** (15) (სუბტ.) **02.20** მოამბე **02.40** ქართული დოკუმენტალისტიკა **03.30** მხ. ფილმი **"მარგო ქორწილში"** (18) (ნ. კიდმანი) **05.00** მხ. ფილმი **"მკვლელის ინსტინქტი"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"მთვარის ყურის მეფე-დედოფალი"** **02.00** მხ. ფილმი **"ჩურჩული ღამით"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** ჯეოსტარი (გან.) **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** მე-9ს. **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-10ს. **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** თოქ-შოუ **00.30 2011** წლის სილამაზის საერთ. კონკურსი **02.00** ფლეიბოი იმედზე **02.55** მხ. ფ. **"სიცილიური კლანი"** (ა. დელონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"** მე-12ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 2"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გუნდი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"აურზაური სალხინეთში"** **13.30** კონცერტი – მ. ჩარკვიანი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ოქროს ობობა"** მე-4ს. **17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"გლახის ნაამბობი"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ქართველი ლეგიონერი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნუნუ ჯავახიშვილის მონატრება



გავიდა ტკივილიანი ორმოცი დღე. ყველამ გულით დაგიტირა. უამრავი პატივისმცემელი გყოლია. ულმობელმა სენმა ლოგინს მიგაჯაჭვა, მაგრამ შენებური შემართებით უმკლავდებოდი ტკივილს.

ყველა – ძმა, ძმისშვილები, დები, ნათესავები – ვერავინ წარმოვიდგენდით, თუ ოდესმე მოგვიწევდა ამ ტკივილის ტარება, რასაც უშენობა ჰქვია.

ძალიან გვენატრება შენი იმედიანი ღიმილი, შენი სიტყვები. შენ ხომ ყველა ნათესავი უსათნოეს ქალბატონად გიცნობდა.

შენი სიხალისე და ნიჭი მხოლოდ მოგონებად დაგვრჩა. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მელაანის მიწა, ჩვენო ულამაზესო და უნიჭიერესო ნუნუ.

*ომარ თამაზაშვილის ოჯახი*

მეუღლე ნუკრი თევზაძე, შვილები მამუკა და მაკა ხურციძეები, სიძე გოგა ხომასურიძე, რძალი ვერონიკა ხურციძე, დები ვენერა, ლამარა ხურციძეები, შვილიშვილები ლიზიკო და ნუცა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ თედორეს ძე ხურციძე**

პანაშვიდი: 6, 7 ოქტომბერს.
დაკრძალვა: 8 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, წყნეთის ქუჩა №13, მე-8 სართული.

შვილები მაია, ზურაბ მიქაძეები, რძალი თამარ მესხი, სიძე ბესო ფაჩუაშვილი, შვილიშვილები ამირან, მარიამ ფაჩუაშვილები, გეგა, მაია მიქაძეები, ძმა იმედო ოჯახით, ნათესავები და ახლობლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ შალვას ასული შურღაია**

პანაშვიდი: 6, 7 ოქტომბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: შაბათს, 8 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, წერეთლის 77.

## ნუნუ ჯავახიშვილის გახსენება

ჩვენო ნუნუკა, 40 დღის წინ ვიუწყებოდით თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 1983 წლის კურსდამთავრებულებს უსათნოესი თანაკურსელი ნუნუ ჯავახიშვილი გამოგვაკლდათქო, ახლა კი, სამუდამო სასუფეველში დამკვიდრდა შენი უმანკო სული. ვიხსენებთ წარსულს, როგორი მართალი და წესიერი ადამიანი იყავი, არასდროს გხიბლავდა თანამდებობრივი რეგალიები, არასდროს ხდიდი საპატივცემულოდ ამას, ვინაიდან იცოდი, რომ ყველაზე მეტი რეგალია ნამდვილი, მართალი, წესიერი ადამიანობა იყო. გამიჯნული იყავი ღალატთან, ორგულებასთან, ამპარტავნობასთან, ფაქიზი სულის პატრონი ძნელად წარმოიდგენდი ადამიანთა ავ ზნეს, ტკივილამდე იცოდი ოჯახისა და ახლობლების სიყვარული, ბოლომდე ითავისებდი შენი დაცვის ქვეშ მყოფი თითოეული ადამიანის განსაცდელს, შესაშური ენერგიით იცავდი მათ კანონიერ უფლებებს, უფრთხილდებოდი გარშემომყოფთ, არასდროს იწუწუნებდი, შენს ტკივილს არავის შემოახვევდი თავზე, ამიტომ სათანადოდ გაუმკლავდი ავ სენსაც, შენი ახლობლების უმეტესობასაც არ შეატყობინე, მხოლოდ შენი არაჩვეულებრივი დები ნაილი და ზოია, ძმა ჯემალი, რამდენიმე ახლო მეგობარი დაიტოვე უფალთან შენი სიცოცხლის მავედრებლად, უფალსაც საუკეთესოები უნდათო, ნათქვამია, ერთ-ერთი მათგანი შენც აღმოჩნდი ჩვენს მერაბთან, ლალისთან, ციცინოსთან, თენგიზთან, ბესოსთან, გიასთან, ბეჟანთან, გივისთან, ზურასთან, ელისოსთან, თამრიკოსთან, ალბერტისთან, ვაჟასთან ერთად.

უდროოდ წახვედით ჩვენგან და დაგვიტოვეთ უსაზღვრო ტკივილი და მოგონებები.

ჩვენო ნუნუკა, ჩვენი ცრემლები მიიღე, როგორც უსაზღვრო მონატრება და წუხილი იმის გამო, რომ ჩვეუნთან აღარ ხარ.

*გემშვიდობებით, შენი თანაკურსელები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**7 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 20–22, ღამით — 9–11

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 23–27, ღამით — 14–16

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 17–17, ღამით — 2–11

## ამინდის პროგნოზი 7 ოქტომბრისთვის







## გაზეთ „ახალი თაობის“ 3 ოქტომბრის ნომერთან ერთად იყიდება

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მეორე ტომი



მასში თავმოყრილია შემდეგი ნაწარმოებები:

1. გიორგი მერჩულე — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
2. გიორგი მთაწმიდელი — იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება
3. ბორენა დედოფალი
4. დავით აღმაშენებელი — გალობანი სინანულისანი
5. არსენ იყალთოელი — დავით აღმაშენებლის ეპიტაფია
6. არსენ იყალთოელი — ძეგლისწერა
7. უცნობი ავტორი — ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი
8. დიმიტრი მეფე — ღმრთისმშობლისა
9. დიმიტრი მეფე — შიო მღვიმელისა

**ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!**


# დინამო ახალ სეზონს ამბიციებით ხვდება



ჩემპიონთა თასისა და საბჭოთა კავშირის 4-გზის ჩემპიონი კალათბურთში თბილისის “დინამო“ ბოლო დროს ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა, ახლა ამ გუნდში სიტუაცია შეიცვალა – გუნდს ახალი მეპატრონე გამოუჩნდა და ახალ სეზონს უკვე ამბიციებით ხვდება.

მას შემდეგ, რაც “დინამოს“ მეპატრონე “საქართველოს ბანკი“ გახდა, მისი პირველივე მოთხოვნა მწვრთნელის პოსტზე დავით თორთლაძის დაბრუნება იყო, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს თანამდებობიდან. თორთლაძე მუშაობას ენეგიულად შეუდგა და გუნდშიც ისეთი კალათბურთელები ჰყავს, რომელთაც თამამად შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ მედლებისთვის ბრძოლაში.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გუნდი ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია. აქედან გამომდინარე, პირველი ადგილისთვის ბრძოლას ნამდვილად ვერ შეძლებს, რადგან “არმია“ და “სოხუმი“ საკმაოდ არიან მოძლიერებული. თუმცა, მაღალი დონის კალათბურთელების ნაკლებობას არც “დინამო“ უნდა განიცდიდეს.

გუნდთან ერთად ვარჯიშობენ საქართველოს ნაკრების წევრები ლაშა გამყრელიძე და ნიკოლოზ ცქიტიშვილი. თსსუ-დან გადავიდნენ ირაკლი კეიდია, პლასიდე როდუმტა, სოსო ლეჟავა, თსუ-დან – გიორგი მარხვაშვილი (თსუ-დან), დუდა სანაძე უკლუბოდ იყო და “დინამოს“ მიაშურა.

მოკლედ, ახალ გუნდს დიდი ამბიციები აქვს და სასიამოვნო იქნება თუ ეს ტრადიციული კლუბი ძველ დიდებას დაიბრუნებს.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 7 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

მშვენიერი დღეა

**ვერძი** – დაისვენეთ და გაერთეთ, ეს დღე თქვენია. **კურო** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** – საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ პროვოკაციას, თქვენთვის იყავით. **ლომი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** – ბედი გწყალობთ, ყველაფერი კარგად იქნება. **სასწორი** – როცა საკუთარ თავში დარწმუნდებით, მერე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე წასვლა მოგიწევთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – კარგ ხასიათზე ხართ, ასე განაგრძეთ. **მერწყული** – საღამოს დასაჩუქრდებით. **თევზები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ძველებური ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 6. ბერიკაობის ერთ-ერთი მონაწილე, დევის ნიღაბი; 8. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 16. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. ფრანგი პოეტი, ”ინტერნაციონალის” ტექსტის ავტორი; 18. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად**: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადარჩენა, 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწრთვნელი; 13. მონასტერი ყვარლის რაიონში; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. გაწყალებული ღვინო; 19. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## ხასიათი ნაოჭების მიხედვით

**ტესტი**



როგორც ამბობენ, ნაოჭები ასაკის ნიშანია, მაგრამ მათი საშუალებით ადამიანის ხასიათის გამორკვევაც შეიძლება. გთავაზობთ ყველაზე გავრცელებული ნაოჭების მოკლე ჩამონათვალს და მათ მნიშვნელობას.

სიხარული – ნაოჭები თვალების და პირის კუთხეებში.

სიმორცხვე – ნაოჭები პირის მახლობლად უჩნდებათ იმ ადამიანებს, ვისაც ყველაფრის ეშინიათ და დაცულად თავის შეგრძნების დიდი მოთხოვნილება გააჩნიათ.

დეტალებისადმი ყურადღება – ადამიანები, რომლებიც მცირე დეტალებს აქცევენ ყურადღებას, თვალების გარშემო წვრილი ნაოჭებით ხასიათდებიან.

პატიოსნება და ერთგულება – წარბის გარე მხარესთან პატარა, ჰორიზონტალური ნაოჭებით გამოიცნობა.

ინტელიგენტურობა – ღრმა ნაოჭი თვალებს შორის. იგი მორცხვ ადამიანებსაც გააჩნიათ.

წინდახედული და გულთბილი – ეს ღირსებები, როგორც წესი, შუბლზე გაყოლებული ნაოჭებით აღინიშნება, მაგრამ, თუ ასეთი ნაოჭი მრავალრიცხოვანი პატარა, ჰორიზონტალური ხაზებისაგან შედგება, ჭორიკანობისაკენ მიდრეკილებაზე მეტყველებს.

იმედის გაცრუება – ასეთი ნაოჭები დროდადრო ჩნდება, მაგრამ დროთა განმავლობაში ქრება. ტიპური ნაოჭი იწყება ცხვირის კუთხეებთან და მთავრდება პირის კუთხეებთან. თუ ამას თვალთან გაჩენილი ნაოჭებიც ემატება, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისი შესაძლებლობის ზღვარზე იმყოფება, ხოლო პირის კუთხეს ჩაცდენილი ნაოჭი ფიზიკურ ტანჯვაზე მიანიშნებს.

გაკვირვება – ადამიანებს, რომლებსაც ყველაფერი უკვირთ, როგორც წესი, პატარა, ჰორიზონტალური ნაოჭები უჩნდება თვალების ქვეშ.

გულგრილ ადამიანებს საერთოდ ნაოჭები არ უჩნდებათ, მაგრამ ლოყის კუნთების მოშვებულობის გამო უჩნდებათ ნაკეცი ტუჩის კუთხეებთან. ეს ნაკეცი აგრეთვე სიზარმაცის ნიშანიცაა.

## იუმორი



***

– ვერ მეტყვით, მისის ჯონსონ, რა იქნა ის სიმპათიური ოფიციანტი გოგონა, სასმელები რომ დაჰქონდა?

– ალბათ, სადმე გავიდა. დალევა გინდათ?

– არა, უბრალოდ მაინტერესებს, სად არის ჩემი ქმარი...

***

– სამეჯლისო ცეკვები – მოაშორე ფეხი მანამდე, სანამ პარტნიორი დაბიჯებას მოაწრებს...

***

– როგორც ცნობილია, ბოლო დროს ევრო დოლარის მიმართ საგრძნობლად გაიაფდა. მილიარდი დოლარი რომ მქონდეს და ამას რომ წარმოვიდგენ, ცუდად მიხდება გული, ისე კი, ყველაფერი რიგზეა...

***

წარწერა სოფლის სასტუმროს ერთ-ერთ საძინებელ ოთახში: ‘ადგილი მშვენიერია, სიჩუმე – აბსოლუტური, ჰაერი – სუფთა. თუ ვერ იძინებთ, თქვენს სინდისს დააბრალეთ”.

გ. თ.

# „მის საქართველო 2011“-ს ტიტულს ჩამოართმევენ?

## სკანდალი „იმიჯ ცენტრში“



ეკა ირემაშვილი

სამოდელო სააგენტო “იმიჯ ცენტრი“ და მისი ხელმძღვანელი ია კიწმარიშვილი, რომელიც უკვე 9 წელია საქართველოში „მის საქართველოს“ სილამაზის კოკნურსს ატარებს“, ისევ სკანდალში გაეხვა. წლევანდელი „მის საქართველოს“ გამარჯვებული 19 წლის ჟანეტა ქერდიყოშვილი რუსეთის მოქალაქე აღმოჩნდა. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, “იმიჯ ცენტრს“ საერთაშორისო სკანდალი არ ასცდება.

ამის შესახებ უკვე რუსული პრესაც წერს და იტყობინება, რომ ჟანეტა და მისი მშობლები სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობენ. ჟანეტა საქართველოში სპეციალურად მის საქართველოს კონკურსში მონაწილეობისთვის ჩამოვიდა. გაურკვეველია, როგორ დარჩათ ეს ფაქტი შეუმჩნეველი კონკურსის ორგანიზატორებს, რადგან ყველა მონაწილე ვალდებულია კონკურსში მონაწილეობისას პირადობის დამადასტურებელი საბუთები წარადგინოს.


**გაგრძელება მე-8 გვერდზე**



ლურჯი წითელი ყვითელი შავი